პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

კვირა,
28
თებერვალი
1937 წ.
№ 48 (4849)

დღეს გაზეთში:

— სიმართლე და პატიოსნება („პრავდის“ მოწინავე).
— მიმართვა დონბასის ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობის სტახანოველთა, დამკვრელთა და სამეურნეო მუშაკებისა.
— ფ. მახარაძე — დიდი ხალხის დიდი მწერალი.
— ანო შიუკაშვილი — პუშკინს (ლექსი).
— ლ. მუსხელიშვილი — ლმანისის არქეოლოგიური გათხრების წინასწარი შედეგები (ფელეტონი).
უცხოეთში:
— მთავრობის ჯარების შეტევა ოვიედოს სექტორში.
— მეამბოხეთა პოზიციების ბომბარდირება ნარანკოს მთაზე.
— გენერალი მიახა გაემგზავრა ფრონტზე ჯარების საინსპექციოდ.

სიმართლე და პატიოსნება

მსოფლიო ისტორიამ არ იცის ისეთი ძლიერი, მუშათა კლასის ინტერესების ისეთი ერთგული და მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი ხალხის ცხოვრებასთან ისე მჭიდროდ დაკავშირებული პარტია როგორიცაა ჩვენი, ბოლშევიკური პარტია. თავის დარაზმულობით, დისციპლინით, იდეური შემჭიდროებით, პრინციპული შეურიგებლობით ჩვენმა პარტიამ გააათკეცა ხალხის ძალები და წაიყვანა იგი ყველა სიძნელის გადალახვით სოციალიზმის ბრწყინვალე გამარჯვებებისაკენ.

ლენინ-სტალინის პარტია უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ყველა განსაცდელი და ყველა მტერი, რომელიც კი მას გზაზე გადაეღობა თავის ძალას პარტია ღებულობდა თანამედროვე საზოგადოების ყველაზე უფრო მოწინავე კლასში — მუშათა კლასში. „ყველას როდი შეუძლიან იყოს ასეთი პარტიის წევრი. ყველას როდი შეუძლიან აიტანოს ასეთი პარტიის წევრობასთან დაკავშირებული გაჭირვება და ქარტეხილი“ (სტალინი).

ბოლშევიკური პარტიის შემადგენლობა შემთხვევით როდი ჩამოყალიბდა. მასში შევიდნენ მუშათა კლასის მოწინავე ადამიანები, მშრომელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები, რომელთა რევოლუციური სიმტკიცე მუდამ მოწმდება საქმეში.

ჩვენი პარტია ყოველთვის იდგა და დგას მუშათა კლასის ინტერესების, მშრომელი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე. პარტია რეგულარულად იწმინდებოდა კლასობრივად უცხო ელემენტებისაგან, ოპორტუნისტებისაგან. იმ ადამიანებისაგან, რომელთაც დაჰკარგეს კავშირი მასებთან და გაბიუროკრატდნენ, — ერთი სიტყვით, ყველა იმათგან, ვინც არ არის ღირსი იყოს მის რიგებში. მუშათა კლასის მტრებს საუცხოოდ ესმით, რომ მათ შეუძლიათ მიაღწიონ თავის მიზნებს და ზიანი მიაყენონ ხალხს მხოლოდ მაშინ, თუ არევდარევას შეიტანენ პარტიული ორგანიზაციების რიგებში. აი რატომ არის, რომ ბოლშევიკები მუდამ განსაკუთრებული გულმოდგინებით იცავენ პარტიული რიგების სიწმინდეს.

ბოლშევიკური პარტიის წევრად ყოფნა დიდად სასახელოა და ამდენადვე დიდი მოვალეობაა. იქ, სადაც საქმე შეეხება მშრომელთა ინტერესებს, სამშობლოს ინტერესებს — დიდია ეს საქმე თუ მცირე, იქ კომუნისტი მუდამ წინ უნდა იყოს. ასე იყო ცარიზმის დროს — არალეგალობაში, ასე იყო სამოქალაქო ომის ეპოქაში, ასეა ახლაც, სოციალიზმის მშენებლობის სტალინური ხუთწლედების წლებში. ეს იმდენად ბუნებრივია და ისე განმტკიცდა, ადამიანთა შეგნებაში, სსრ კავშირის ყველა ხალხის შეგნებაში, რომ უკვე მრავალგზის ჰპოვა ასახვა ხელოვნებაშიც. გავიხსენოთ თუნდაც შესანიშნავი ეპიზოდი კინოსურათში „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ“. მტერი გვიტევდა, მან ბრძოლაში გამოიყენა, ახალი, მაშინ არნახული იარაღი — ტანკები. რევოლუციურ მატროსთა რიგები შედრკენ, ისინი პანიკურად გაიქცნენ, მაგრამ ბოლშევიკ - კომისარმა შესძახა: კომუნისტებო, სდექ! და მტრის საშინელმა იარაღმა ძალა დაჰკარგა; კომუნისტების მეთაურობით ყველანი მტერს ეკვეთნენ და მოიგერიეს მისი იერიში.

ასეთი და ამაზე უფრო მკვეთრი ეპიზოდი, ბრძოლასა და მშვიდობიან შრომაში, შეიძლება ათასობით მოვიყვანოთ ცხოვრებიდან. მშრომელთა წარმოდგენაში ბოლშევიკის სახე სწორად იხატება როგორც იმ ადამიანის სახე, რომლისთვის კომუნიზმის საქმე, მუშათა კლასის ინტერესები, ხალხის ინტერესები ყველაფერზე მაღლა სდგას ცხოვრებაში. პარტიის უსაზღვრო ერთგულება, იდეურობა, კრისტალური პატიოსნება, სიმართლე, თავდაბლობა, მჭიდრო კავშირი მასებთან — აი ის თვისებები, რომლებიც უწინარეს ყოვლისა უნდა ანსხვავებდნენ კომუნისტს. ამ კეთილშობილ თვისებებს ადვილად დაინახავთ, იგრძნობთ, შეიცნობთ ჩვენი პარტიის, ლენინ-სტალინის პარტიის ფუძემდებელთა. მასწავლებელთა და ხელმძღვანელთა ცხოვრების ყოველ მაგალითში.

ჩვენი პარტია არასოდეს არ მალავდა თავის მიზნებსა და ამოცანებს. იგი არასოდეს არ მალავდა ამ ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებულ სიძნელეებს. და პარტია ასეთსავე პატიოსნებასა და სიმართლეს მოითხოვს ყოველი კომუნისტისაგან. ნამდვილ ბოლშევიკს, პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგულ ბოლშევიკს — არაფერი აქვს მისგან დასამალი. ყოველ კომუნისტს უნდა ჰქონდეს უფლება სთქვას ისე, როგორც, სთქვა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1926 წლის ზაფხულს პროლეტარული რევოლუციის უშიშარმა რაინდმა ფელიქს ძერჟინსკიმ:

„თქვენ საუცხოოდ იცით, რაში მდგომარეობს ჩემი ძალა. მე თავს არ ვიზოგავ... და ამიტომ თქვენ აქ ყველას გიყვარვართ, რადგან თქვენ ჩემი გჯერათ. მე არასოდეს არ ვთაღლითობ“.

ნამდვილი ბოლშევიკი არასოდეს არ თაღლითობს თავისი პარტიის წინაშე, მუშათა კლასის წინაშე, მშრომელთა მასების წინაშე. თვალთმაქცობა, ფარისევლობა, მოტყუება — ყოველივე ეს მოწამლული იარაღია ჩვენი მტრების არსენალიდან.

ბურჟუაზია და მისი პარტიები მუდამ ატყუებდნენ და ატყუებენ ხალხს. ბურჟუაზია და ბურჟუაზიული პოლიტიკოსები ვერ ბედავენ უთხრან მშრომელ მასებს სიმართლე თავისი მიზნებისა და ზრახვების შესახებ. ბურჟუაზია ცრუობს და ფლიდობს ხალხის წინაშე, როცა იძულებულია მიმართოს მას მხარდაჭერისათვის ან თანაგრძნობისათვის. სწორედ ასევე იქცევიან საზიზღარი ტროცკისტები, ზინოვიეველები, მემარჯვენე გარეწრები და სხვა ანტისაბჭოთა არამზადები, რომლებიც შემოიპარნენ ჩვენს პარტიაში, რათა მოტყუებით, მალულად აკეთონ თავისი გამცემლური საქმეები. ამ ავაზაკთა ერთერთ მთავარ თვისებას წარმოადგენს თვალთმაქცობა. ისინი ცხოვრობდნენ „ორძირიანი ჩემოდნის ფსიქოლოგიით“, როგორც ცინიკურად სთქვა ფაშისტების ნაბოლარამ რადეკმა. ისინი მუდამ ატყუებდნენ პარტიას, ატყუებდნენ მუშათა კლასს. ისინი ვერ ბედავდნენ მუშათა კლასისათვის სიმართლე ეთქვათ თავის ყაჩაღურ ზრახვებზე— კაპიტალიზმის აღდგენისა საბჭოთა კავშირში.

სიცრუე, ფარისევლობა, მოტყუება წარმოადგენდა ყველა წვრილბურჟუაზიული პარტიის, ყველა ოპორტუნისტის თავისებურ „პირველადს ნიშანს“. ფარისევლობითა და მოტყუებით არის ალსავსე მენშევიზმისა და ესეროვშჩინის მთელი ისტორია. რამდენი ძალღონის დახარჯვა უხდებოდათ ლენინსა და სტალინს, მთელს ჩვენს პარტიას იმისათვის, რომ გამოეაშკარავებინათ მენშევიკების ფარისევლობა, რომლებიც ყალბი ნიღაბით ჰფარავდნენ თავის ოპორტუნიზმსა და გამცემლობას. ისინი ცდილობდნენ ეთვალთმაქცნათ არა მარტო მუშებისა და ბოლშევიკების წინაშე — ისინი ერთმანეთსაც ატყუებდნენ.

ბოლშევიკური პარტია, რომელმაც მუშათა კლასისათვის უზრუნველჰყო სრული გამარჯვება მსოფლიოს მეექვსედ ნაწილში, მუდამ სიმართლეს ეუბნებოდა ხალხს, მუდამ უსასტიკესად მოითხოვდა ასეთსავე სიმართლესა და პატიოსნებას თავის პარტიულ წრეში.

ჩვენ ულმობელ ბრძოლას ვაწარმოებთ პარტიის მტრებთან, თვალთმაქცებთან, ფარისევლებთან. ჩვენ გადამწყვეტი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ყოველგვარ, თუნდაც სულ მცირე ცდასთან შეიყვანონ პარტია შეცდომაში, ცდასთან მოატყუონ იგი, სულერთია დიდ თუ პატარა რამეში. პატარა სიცრუიდან დიდ დანაშაულამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. ის, ვისაც შეუძლია მოატყუოს თავისი პარტია პატარა რამეში, ის არც დიდ მოტყუებას მოერიდება.

აბსოლუტური სიმართლე პარტიის წინაშე — ბოლშევიკის უპირველესი მოვალეობაა. ერთი წუთიც ვერ დარჩება საქ. კ. პ. (ბ) რიგებში ის ადამიანი, რომელმაც პარტია მოატყუა რაიმეში. აი, მაგალითად, მანას მოკველის-შე მურადიანი, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1926 წლიდან. ჩრდილოკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიავლინა იგი აზოვ-შავიზღვის სამხარეო კომიტეტის განკარგულებაში. მიიღო რა ხელზე მივლინების დოკუმენტები, მურადიანმა შეასწორა ისინი, გამოცხადდა პარტიის მოსკოვის კომიტეტში და ცდილობდა მიეღო იქ დანიშვნა.

არავითარი საჭიროება არ მოითხოვს დაწვრილებით გავიგოთ მურადიანის განზრახვა. საკმარისია ის, რომ იგი ცდილობდა მოეტყუებინა პარტია, და მართებულად მოიქცა პარტიული კონტროლის კომისიის პარტკოლეგია, როცა მას ჩამოართვა პარტიული ბილეთი.

პარტიას ატყუებს არა მარტო ის, ვინც სიცრუეს ამბობს, არამედ ისიც, ვინც პარტიას უმალავს მტრის საქმიანობის იმ ფაქტებს, რომლებიც მან იცის. მდუმარე კომუნისტი, რომელმაც იცის მტრის მახინაციები და არ ატყობინებს ამას თავის ორგანიზაციას, უკვე კომუნისტი კი არ არის, არამედ მტრის ხელის შემწყობი. ასეთი საქციელი პარტიის პირდაპირი მოტყუებაა, და ასეთ ადამიანს ადგილი არა აქვს მის რიგებში.

კომუნისტისათვის პარტიის ინტერესები ყველაფერზე მაღლა უნდა იდგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ არის კომუნისტი. პარტიის წინაშე, შენი პარტიული ორგანიზაციის წინაშე მუდამ. ყველაფერში, ბოლომდე პატიოსანი და მართალი უნდა იყო.

ჩვენი პარტია ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა, რომელიც რკინის დისციპლინას ეყრდნობა. ჩვენი უსასტიკესი დისციპლინის გამოყენებისა და შენარჩუნების მთავარ პირობას წარმოადგენს პარტიის შეგნებული ერთგულება, კომუნიზმის საქმის ერთგულება. ჩვენმა პარტიამ გმირული საქმეები შეასრულა და ასრულებს. არის რა მუშათა კლასის ავანგარდი, მას გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიჰყავს ხალხი. ჩვენი პარტიის ძალა მისი მიზნების კეთილშობილებასა და სიცხადეშია, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიად მოძღვრებაშია, რომლითაც იგი არის შეიარაღებული. პარტიის უძლეველი ძალა არის მის მებრძოლთა ერთგულებაში. გამობრძმედაში, პატიოსნებაში.

„პრავდის“ მოწინავე, 27/II.

მ ი მ ა რ თ ვ ა

დონბასის ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობის სტახანოველთა, დამკვრელთა და სამეურნეო მუშაკებისა

საბჭოთა კავშირის ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობის ყველა მუშასა და მუშა-ქალს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და სამეურნეო მუშაკებს

ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ, საბჭოთა კავშირის მშრომელებმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. აღარ არის ჩვენთან ამხანაგი ორჯონიკიძე; დავკარგეთ ჩვენი საყვარელი, მშობლიური სერგო, დიდი პროლეტარული რევოლუციონერი, სტალინური ეპოქის ერთერთი საუკეთესო ადამიანი.

საყვარელი სარდლისა და სტახანოველთა დიადი არმიის მგზნებარე სულისჩამდგმელის, ლენინისა და სტალინის ერთგული და თავდადებული თანამებრძოლის, სალ კლდესავით მტკიცე ბოლშევიკის სერგო ორჯონიკიძის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს სტახანოველთა და მეთაურთა მილიონების გულსა და შეგნებაში, ყველა მშრომელის, მთელი პატიოსანი და პროგრესიული კაცობრიობის გულსა და შეგნებაში. და რკინის სახალხო კომისრის ამხანაგ ორჯონიკიძის საუკეთესო ძეგლი იქნება იმ დავალებათა შესრულება, რომლებიც დასახა ამხანაგმა სერგომ ჩვენს წინაშე, მეტალურგთა და ქვანახშირის მუშათა წინაშე.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისართან არსებული საბჭოს სხდომაზე 1936 წლის ივნისს ამხანაგმა სერგომ ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებსა და მეტალურგებს მოგვცა ორი საბრძოლო უმნიშვნელოვანესი დავალება. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებისაგან ამხანაგი სერგო მოითხოვდა:

„თუ დონბასს არ უნდა დააყენოს ჩვენი ქვეყანა მომავალ წელს სათბობის მხრივ სიძნელეთა წინაშე, მან არა მარტო უნდა შეასრულოს ამა წლის პროგრამა, არა მარტო უნდა შეასრულოს ხუთწლედი 4 წლის განმავლობაში, არამედ მან წლის თავისი ამოღება უნდა გაადიდოს სულ მცირე 250 ათას ტონამდე დღეღამეში. უამისოდ ჩვენ მომავალ წელში ვერ მოვაგვარებთ სათბობის საკითხს“.

მეტალურგებისაგან ამხანაგი სერგო მოითხოვდა:

„ჩვენ დღეს ვიძლევით 42—43—45 ათას ტონა ფოლადს დღეღამეში. ჩვენთვის ეს ცოტაა, **დღეღამეში კალენდარულ დროს ჩვენ უნდა ვიძლეოდეთ 60 ათას ტონა ფოლადს ნატურით.** შეუძლიათ თუ არა ამის მოცემა ჩვენს მეტალურგებს? შეუძლიათ“.

ჩვენი არმიის სარდლის ამ საბრძოლო დავალების შესრულებას ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია. დონბასი სულ დღეღამეში იძლევა 210-220 ათას ტონა ქვანახშირს, მეტალურგები დღეღამეში იძლევიან 45-50 ათას ტონა ფოლადს. დონბასის მეტალურგიული ქარხნები ვერ ასრულებენ თავის წილ დავალებას.

ამხანაგმა სერგომ ბოლშევიკური პირდაპირობით გამოავლინა ჩვენი ცუდი მუშაობის ნამდვილი მიზეზები. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისართან არსებულ საბჭოს სხდომაზე ამხანაგი ორჯონიკიძე, მიმართავდა რა მძიმე მრეწველობის მეთაურებს, ამბობდა:

„თქვენ სტახანოვურ მოძრაობას სათავეში არ ჩაუდექით იმ ზომით, როგორც ამას ჩვენგან მოითხოვს პარტია, როგორც ამას ჩვენგან მოითხოვს ამხანაგი სტალინი, რომელმაც თვითონ პირადად თავისი მძლავრი ხელით დასწერა: ინჟინრები, ტექნიკოსები და სამეურნეო მუშაკები სათავეში უნდა ჩაუდგნენ სტახანოვურ მოძრაობასო. ამით პარტიამ და პირადად ამხანაგმა სტალინმა უდიდესი საქმე მოგანდოთ თქვენ, ხოლო თქვენ იგი დღემდე არ შეასრულეთ. ჩვენ თქვენთან ერთად, ყველამ ერთად, არ შევასრულეთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება. ისმება კითხვა, რატომ არ შევასრულეთ. იმიტომ, ამხანაგებო, რომ ჯერ კიდევ ისე ვერ ვმუშაობთ, როგორც საჭიროა — ეს არის ყველაზე მთავარი მიზეზი“.

ჩვენ, დონბასის მეტალურგიული ქარხნების და ქვანახშირის შახტების მოწინავე მეთაურები და სტახანოველები, მოვუწოდებთ ქვანახშირის და მეტალურგიული მრეწველობის ყველა მეთაურს, ყველა მუშას მოაწყონ სტახანოვური მოძრაობის ახალი აღმავლობა, სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობა და უახლოეს დროში მივაღწიოთ ამხანაგ ორჯონიკიძის დავალების მთლიანად განხორციელებას — მივცეთ ქვეყანას 250 ათასი ტონა დონეცის ქვანახშირი, 60 ათასი ტონა ფოლადი და 45 ათასი ტონა ნაგლინი დღეღამეში.

ამისათვის გვჭირდება:

— რომ ყველა მეთაური, ყველა სპეციალისტი მართლაც ნამდვილად ჩაუდგეს სათავეში სტახანოვურ მოძრაობას, ჩაუდგნენ სათავეში სოციალისტურ შეჯიბრებას და, სტახანოველებზე დაყრდნობით, სწრაფად გაავრცელონ მოწინავეთა გამოცდილება ყველა მუშაზე;

— რომ მეტალურგიული ქარხნების ყველა საამქრო კრებებზე, შახტების ყველა საუბნო კრებებზე, ყოველ ღუმელზე, ყოველ უბანზე დაწესდეს კონკრეტული ღონისძიებანი და კონკრეტული ვადები თავისი წილის შესრულებისა — დღეღამეში 60 ათას ტონა ფოლადის გამოდნობის, 45 ათას ტონა ნაგლინის წარმოების და 250 ათას ტონა ქვანახშირის ამოღების დარგში.

გაზეთ „ზა ინდუსტრიალიზაციუს“ თხუთმეტი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ამხანაგი სერგო ამბობდა:

„... არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩვენი წინსვლის შეჩერება თუნდაც ერთი წამით. შეიძლება მოინახოს ისეთი არამზადა, როგორიცაა პიატაკოვი, როგორიცაა რადეკი, როგორიცაა სოკოლნიკოვი, როგორიც არიან ყველა ჯურის შესტოვები, რომელთაც შეუძლიათ, სისაძაგლის გამო, მუხანათურად მოჰკლან ერთი, ორი, სამი მუშა, მაგრამ დეე იცოდნენ, რომ ჩვენი ქვეყანა უძლეველია, ჩვენი მუშათა კლასი უძლეველია, ჩვენი პარტია უძლეველია, ვინაიდან მას ჩვენი სტალინი მეთაურობს“.

უდიდესი სიმართლე, ჩვენი სამშობლოს ხალხთა ძალისა და სიძლიერის ურყევი რწმენა გამოსჭვივის ჩვენი საყვარელი სერგოს ამ უკანასკნელი სიტყვიდან. პარტიული და არაპარტიული ინჟინრების, ტექნიკოსების, სტახანოველების, დამკვრელების და ყველა მუშის მოვალეობაა კიდევ უფრო შეამჭიდროვონ თავისი რიგები ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ, ბოლომდე გამოავლინონ და სრულიად მოსპონ მავნებლობის შედეგები, ბოლომდე ამხილონ და მოსპონ ხალხის ყველა წყეული მტერი, სამშობლოს ნამდვილი გამცემლები, კაპიტალიზმის რესტავრატორები და ფაშიზმის აგენტები — ტროცკისტები, ზინოვიეველები და მათი მოკავშირეები — მემარჯვენე გარეწრები.

ჩვენ ასკეცად უნდა გავაძლიეროთ ბოლშევიკური სიფხიზლე, უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა, გადაჭრით და ულმობლად ვამხილოთ მტრები და, პიროვნებათა მიუხედავად, გავამათრახოთ და აღმოვფხვრათ სიბეცე და მოუქნელობა, თვითდამშვიდება, ყოყოჩობა, ამპარტავნობა და მლიქვნელობა. ჩვენ ხელახლა უნდა განვიხილოთ ტექნიკური პროექტები, გაანგარიშებანი და ხარჯთაღრიცხვები, რომლებსაც კი მავნებელთა ხელი შეხებია.

დეე, უდრეკი ბოლშევიკის, დიდი ლენინისა და სტალინის ერთგული მოწაფისა და უახლოესი თანამებრძოლის, ჩვენი სერგოს სახე, მებრძოლის, მეთაურის, მასწავლებლისა და მეგობრის სახე მუდამ ცოცხლობდეს ჩვენს გულში, ჩვენს ბრძოლაში, ჩვენს აზრებსა და საქმეებში.

ჩვენი სერგოს ნათელი ხსოვნის წინაშე პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების უწმინდესი მოვალეობაა შეასრულონ მძიმე მრეწველობის არმიის სარდლის ეს ბრძანება დონეცის 250 ათასი ტონა ქვანახშირის ამოღების, 60 ათასი ტონა ფოლადის გამოდნობისა და 45 ათასი ტონა ნაგლინის წარმოების შესახებ დღეღამეში. და ჩვენ მას შევასრულებთ.

ჩვენ, ქვანახშირისა და მეტალურგიული დონბასის მოწინავე მეთაურები და სტახანოველები, პატივს ვცემთ რა ჩვენი საყვარელი სერგოს სახელოვან ხსოვნას, ვდგებით მისი სახელობის სტახანოვურ ვახტზე, რათა შევასრულოთ ჩვენი წილი დავალებისა დღეღამეში დონეცის 250 ათასი ტონის ამოღების, 60 ათასი ტონა ფოლადის გამოდნობისა და 45 ათასი ტონა ნაგლინის წარმოების შესახებ.

ჩვენ წინადადებას ვიძლევით გამოცხადდეს მეთაურთა და მუშათა ახალი ორჯონიკიძისეული გაწვევა სტახანოველთა და დამკვრელთა რიგებში.

მოვუწოდებთ ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობის ყველა მეთაურსა და მუშას საქმით მხარი დაუჭირონ ჩვენს წინადადებას და დარწმუნებული ვართ, რომ ქვანახშირის მუშებისა და მეტალურგების მებრძოლი არმია, ჩვენი დიადი პარტიის მიერ აღზრდილი, ქვანახშირისა და ლითონის ახალი ათასი ტონებით სოციალისტური მეურნეობისათვის, გამოზრდილ სტახანოველთა ახალი ათასებით აღუმართავს ძეგლს ჩვენი მშვენიერი სამშობლოს ბოლშევიკურ დევგმირს, მძიმე მრეწველობის არმიის სახელოვან სარდალს ამხანაგ სერგო ორჯონიკიძეს.

გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს, ჩვენს საყვარელ სტალინს!

კიდევ უფრო გავაფართოვოთ სტახანოველთა და დამკვრელთა რიგები!

ყველანი — სერგო ორჯონიკიძის სახელობის სტახანოვურ ვახტზე!

წინ, ახალი სტალინური გამარჯვებებისაკენ ქვანახშირისა და ლითონის ფრონტზე!

ალექსი სტახანოვი, მაკარ მაზაი—ილიჩის სახელობის ქარხნის I კლასის მეფოლადე, **მირონ დიუკანოვი** —სტალინის სახელობის შახტის პარტორგი, **შჩერბინსკი**—სტალინის სახელობის ქარხნის მგლინავი **შნეეროვი**—ილიჩის სახელობის ქარხნის მარტენის საამქროს უფროსი, **გუდოვშჩიკოვი** —კიროვის სახელობის ქარხნის მარტენის საამქროს უფროსი, **პახნოვი**,—„კადიევუგოლის“ ილიჩის სახელობის შახტის უბნის უფროსი, **სტერლევი**—სტალინის სახელობის შახტის უბნის უფროსი, **გრიშინი**—№4/2 შახტის („ირმინო“, კადიევუგოლი) უბნის უფროსი, **მიტასოვი**—სტალინის სახელობის ქარხნის მარტენის საამქროს უფროსი, **შაშკინი**—ილიჩის სახელობის ქარხნის I კლასის მეფოლადე, **გრუშკო** —შახტ „კოჩეგარკის“ მნგრეველი, **დოლგოპოლოვი**—შახტ № 1 „შჩეგლოვკის“ ჭდობის მემანქანე, **ნაზაროვი**—ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის მეფოლადე, **შჩუკინი**—ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ბლუმინგის ოსტატი, **ანდრუშკინი**—შახტ „გრუზსკაიას“ ჭდობის მემანქანე (მაკეევუგოლი), **სოლომატინი**—„ორჯონიკიძეუგოლის„ შახტ „კრასნი ოქტიაბრის“ მოსამზადებელ სამუშაოთა ბრიგადირი, **რიაბცევი**—მბურღავი, კიროვის სახელობის №22 შახტის I კლასის ოსტატი.

(სულ ხელს აწერს 300-ზე მეტი კაცი).

სტალინო, 27 თებერვალი.

პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ბათუმი, 27 თებერვალი (საქდესი).. 24 თებერვალს შესდგა პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მეორე პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. ქვარცხავას საანგარიშო მოხსენება საქ. კ. პ. (ბ)-ში ახალ წევრთა მიღების განახლებაზე საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 29 სექტემბრის დადგენილების რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ. მოსმენილ იქმნა აგრეთვე პარტიის საქალაქო კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგის ამხ. გეგენავას მოხსენება პარტიული განათლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი ამოცანების შესახებ.

პლენუმმა ფართო შინაპარტიული დემოკრატიის და ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა. ამხ. ქვარცხავას მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. მიტროხინი (ბათუმის ნავთსახდელი ქარხანა), სარქისოვი („გლავნეფტი“), შოტიძე, ოვანესოვი („გლავნეფტი“), მარგალიტაძე (რკინიგზა), დარახველიძე (პედინსტიტუტი), დარჩია (რკინიგზა), რაბინოვიჩი (პარტიის საქალაქო კომიტეტი), ხოზრევანიძე (აჭარის პროფკავშირთა საბჭო), პანკეევი (საქალაქო კომიტეტი), გოგანიძე (მილიცია).

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა მკაცრად გააკრიტიკეს პარტორგანიზაციის მუშაობის დეფექტები. განსაკუთრებით მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ბათუმის ნავსადგურის პარტორგანიზაციის მუშაობა. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს ბოლშევიკური სიფხიზლის მოდუნებაზე, პარტმუშაობის ჩამორჩენაზე, ბოლშევიკური თვითკრიტიკის უქონლობაზე. ნავსადგურის პარტკომი და მისი მდივანი ამხ. კრული, რომლებიც მასებს მოსწყდნენ, არ ეხმაურებოდნენ კომუნისტთა სიგნალებს, დიდხანს ვერ ამჩნევდნენ ანტისაბჭოთა, ტროცკისტული ელემენტების, სოციალისტური საკუთრების მტაცებელთა მავნებლურ მუშაობას.

ქალაქის უდიდეს პარტორგანიზაციაში—ბათუმის ნავთსახდელ ქარხანაში, ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნაცვლად, კომუნისტები გართულნი იყვნენ თავის ქებასა და ერთმანეთის ხოტბაში. ამის გამო შეუმჩნეველი დარჩა საკუბე ბატარიაში არსებული დეფექტები, რასაც დიდი ავარია მოჰყვა.

პლენუმზე მწვავედ იქნა გაკრიტიკებული პარტორგანიზაციის მუშაობა კომკავშირის ხელმძღვანელობის დარგში და თანამგრძნობებთან მუშაობა.

განიხილა რა ორგანიზაციული საკითხები, პლენუმმა პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმის შემადგენლობიდან გარიცხა პ. ბაგოევი, რომელიც გარიცხულია პარტიიდან კონტრრევოლუციურ - ტროცკისტული მუშაობისათვის.

პლენუმზე გამოვიდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. გეურქოვი, რომელმაც ვრცელი და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა პარტორგანიზაციის ამოცანების, რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებისა და ბოლშევიკური თვითკრიტიკის ყოველმხრივ გაშლის შესახებ.

პლენუმმა მისალმება გაუგზავნა საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკთა ხელმძღვანელს ამხ. ლ. ბერიას.

ამხ. ნ. ბაგალიშვილი
არტლეგიონის სკოლის წარჩინებული კურსანტი — ორდენოსანი

ესპანეთის ფრონტებზე

მთავრობის ჯარების შეტევა ოვიედოს სექტორში

პარიზი, 26 თებერვალი (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტო მადრიდიდან გადმოგვცემს, ოვიედოს სექტორში გრძელდება მთავრობის ჯარების შეტევა. რესპუბლიკელთა ჯარების ნაწილებმა დაიკავეს საიარაღო ქარხანა, რომელიც იმყოფება ოვიედოდან სანტანდერისკენ მიმავალ გზაზე. მთავრობის ჯარების ნაწილთა წინსვლა გრძელდება სანლასაროს კვარტალში, სადაც რესპუბლიკელებმა დაიკავეს რამდენიმე სახლი; მათ დაიკავეს აგრეთვე მანქანათა საწყობი არგორონაში და ალტოს მთა. ეს უკანასკნელი პოზიცია ესაზღვრება ამას წინათ დაკავებულ პოზიციას პანდოში. მტერი სამჯერ გადმოვიდა ძლიერ კონტრიერიშზე, რათა დაებრუნებინა პანდოს პოზიცია, მაგრამ უკუქცეული იქნა და დიდი ზარალი განიცადა.

გააფთრებული ბრძოლები ოვიედოს ქუჩებში

ბილბაო, 25 თებერვალი (საქდესი). ოვიედოს ქუჩებში კვლავ გაფთრებული ბრძოლებია. მთავრობის ჯარები ნაბიჯ-ნაბიჯ მიერეკებიან მეამბოხეებს. იერიშებისა და კონტრიერიშების შედეგად რესპუბლიკელებმა მეამბოხენი განდევნეს მთელი რიგი გამაგრებული პოზიციებიდან. რესპუბლიკელებმა დაიკავეს სოფელი სანტულიანო, მთის პოზიციები ტრეჩის მაღლობზე, საიარაღო ქარხნის ორი კორპუსი და მთელი რიგი შენობები.

უცხოეთის გემების დაკავება ესპანელი მეამბოხეების მიერ

სტოკჰოლმი, 26 თებერვალი (საქდესი). ნორვეგიის გაზეთი „სტავანგერ აფტენბლადი“ იუწყება, რომ ესპანელმა მეამბოხეებმა დააკავეს ორი ნორვეგიული გემი—„ვაროი“ და „ტორფინ იარლი“ და წაიყვანეს ისინი სეუტას. გემებზე რომ ტვირთი იყო, კონფისკაცია უყვეს. გემ „ვაროის“ თევზი მიჰქონდა ნორვეგიიდან ალიკანტეში „ტორფინ იარლი“ ფორთოხლით დატვირთული მოდიოდა ესპანეთიდან.

ლონდონი, 26 თებერვალი (საქდესი). ლოიდის ცნობით, ესპანელი მეამბოხენი აკავებენ დანიისა და ნორვეგიის გემებს, რომელთაც გადააქვთ ხილი და სხვა საქონელი. ეს გემები მიჰყავთ სეუტას, სადაც მათ სცლიან და მათზე ნამყოფ ტვირთს გერმანიაში ჰგზავნიან. ამასთან დაკავშირებით ლონდონის ფირმები, რომელთაც ფული აქვთ შეტანილი საქონლის ანგარიშში, ზარალობენ.

მეამბოხეთა პოზიციების ბომბარდირება ნარანკოს მთაზე

პარიზი, 26 თებერვალი (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტო ხიხონიდან გადმოგვცემს, გუშინ რესპუბლიკელთა ბატარიები ყუმბარებს უშენდნენ მეამბოხეთა პოზიციებს ნარანკოს მთაზე (მეამბოხეებმა თავიანთი ქვემეხები გამართეს აქ) და აიძულეს მეამბოხეთა ნაწილები შეეწყვიტნათ სროლა.

გენერალი მიახა გაემგზავრა ფრონტზე ჯარების საინსპექციოდ

პარიზი, 26 თებერვალი (საქდესი). ჰავასის სააგენტოს ცნობით, მადრიდის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი მიახა დედაქალაქიდან გაემგზავრა ფრონტზე ჯარების საინსპექციოდ.

◆

ჩაის სამუშაოები

მიწსახკომის 20 თებერვლის ცნობებით

რაიონების დასახელება	პლანტ. გასაშენებლად ნიადაგის მომზადებ. გეგმის შესრულ. პროც.	პლანტ. გასხვლის გეგმის შესრულება პროც-ბით	კაპიტალური რემონტის გეგმის შესრულ. პროც.	საზამთრო გადაბარვის გეგმის შესრულ. პროც	ფოსფორიტოვანი სასუქების შეტანის გეგმის შესრ. პროც-ბით
ბათუმი	2,6	35	—	8,7	7,1
ქობულეთი	0,9	1,9	—	1,5	—
გალი	14,4	—	2	8,2	1,2
ოჩამჩირე	—	—	16,4	9,6	4,1
სოხუმი	—	—	—	—	
გუდაუთი	—	—	—	—	
მახარაძე	—	—	—	—	
ჩოხატაური	2,7	—	1,3	1,4	
ლანჩხუთი	—	—	4	2,8	0,9
სამტრედია	—	—	—	—	
წულუკიძე	—	—	—	34,1	28,5
ქუთაისი	23	—	—	5,6	5,6
ტყიბული	27	—	—	–	
ცხაკაია	—	—	—	—	
გეგეჭკორი	—	—	—	—	
ზუგდიდი	13	—	10,2	17,1	14,3
წალენჯიხა	11,6	—	—	7,2	4,3
ჩხოროწყუ	20,8	—	8,5	10	13,7
ხობი	—	—	—	—	—
სულ	**5,5**	**1,3**	**4,2**	**5,8**	**4,7**

ქობულეთის, გალის, ოჩამჩირის, ლანჩხუთისა და სამტრედიის ცნობები 10 თებერვლისაა.

ჩაის სამუშაოები: ნიადაგის მომზადება, სასუქების შეტანა, მცენარის გასხვლა და ფორმის მიცემა, პლანტაციის რემონტი, ქასრისაგან გაწმენდა, ხაწრეტი არხების მომზადება, ქარსაფარების გაშენება, კალათების დამზადება და სხვ. ძირითადად იანვარსა და თებერვალში უნდა დამთავრებულიყო. მთელ რიგ რაიონებს კი ეს სამუშაოები დაწყებულიც არა აქვს. მაგალითად — სოხუმისა და გუდაუთის რაიონებს ერთი პროცენტითაც არ შეუსრულებიათ ჩაის არცერთი საზამთრო სამუშაო. საერთოდ კი, არც პლანტაციის ასაშენებლად და არც სანერგისათვის ნიადაგის მომზადება (ვადა 1 მარტი) ჯერ არც ერთ რაიონს არ დაუწყია. პლანტაციის გამოთესვის რესპუბლიკური გეგმა (1.988 ჰექ.) კი შესრულებულია მხოლოდ 1 პროცენტით, აღდგენისა (169,7) — 5,8-ით, მიმდინარე რემონტისა (გეგმა 7.543,9 ჰექ.) — 1,9-ით, აზოტოვანი სასუქების შეტანისა — 0,01-ით, ნაკელის დამზადებისა — 0,1-ით, ქასრისაგან პლანტაციების გაწმენდისა — 4,1-ით, ახალი სადრენაჟო ქსელის მოწყობისა — 3,4-ით, რემონტისა — 6,1-ით, კალათების მომზადებისა — 0,6-ით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ დიდი ხალხის დიდი მწერალი ◆

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება, წაკითხული პუშკინის დაღუპვიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე თბილისის სახ. ოპერის თეატრში 1937 წ. 17 თებერვალს

ამხანაგებო! პუშკინის გარდაცვალებიდან ასი წლის შესრულებას მთელი საბჭოთა კავშირი ხვდება იმ დროს, როდესაც მშრომელები ზეიმობენ ახალ სტალინურ კონსტიტუციას, რომელიც გამოხატავს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებას.

ალექსანდრე სერგეის-ძე პუშკინის მოღვაწეობა, მისი ლიტერატურული დამსახურება და ის უდიდესი ღვაწლი, რომელიც მან დასდო რუსეთის ხალხს მთელი თავისი სიდიადით, სწორედ ახლა გადაიშალა საბჭოთა კავშირის გათავისუფლებულ ხალხთა წინაშე.

დიდმა რუსმა ხალხმა თავის წარსულ ცხოვრებაში წარმოშვა მრავალი უდიდესი და უნიჭიერესი მოღვაწე მეცნიერების, ხელოვნების და ლიტერატურის ყველა დარგში, რომელთაც უდიდესი ამაგი დასდეს რუს ხალხს და რომელთა სახელებს მთელი კაცობრიობა იცნობს.

ჩვენ აქ დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს, რომლებიც რუსი ხალხის სიამაყე არიან. ასეთებია: მეცნიერები ლომონოსოვი და მენდელეევი, პოეტები ლერმონტოვი და ნეკრასოვი, კრიტიკოსები და პუბლიცისტები ბელინსკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, მწერლები: გოგოლი, ლ. ტოლსტოი, გორკი, შჩედრინი და სხვები.

რუსმა ხალხმა თავისი წიაღიდან წარმოშვა აზროვნების გიგანტი, მშრომელთა კლასის გენიალური ბელადი, რომელიც სამართლიანად დგას კაცობრიობის უდიდესი მოაზროვნეების და სოციალიზმის მამამთავრების მარქსის და ენგელსის გვერდით—ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი—ულიანოვი.

რუსი ხალხის წიაღში წარმოიშვა ისეთი მასობრივი ხალხური მოძრაობანი, როგორიც იყო სტენკა რაზინის, ემელიან პუგაჩოვის და სხვა აჯანყებები, რომლებიც მიმართული იყვნენ მონათმფლობელური ხელისუფლების წინააღმდეგ. რუს ხალხში წარმოიშვა დეკაბრისტების მოძრაობა, გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების რევოლუციური ნაროდნიკული მოძრაობა, მიმართული თვითმპყრობელური და მემამულური წესწყობილების წინააღმდეგ.

რუსმა ხალხმა თავისი მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, ლენინისა და სტალინის პარტიის მეთაურობით, დაანთო მთელ მსოფლიოში უძლიერესი რევოლუციური მოძრაობის ცეცხლი, რომელსაც შედეგად მოჰყვა დამხობა როგორც მეფის თვითმპყრობელობისა ყველა მებატონე-მემამულე მუქთახორებით, ისე მთელი ბიუროკრატიულ-ბურჟუაზიული წესწყობილების სამუდამოდ მოსპობა-განადგურება. მან შექმნა და განამტკიცა პირველად მთელ მსოფლიოში საბჭოთა ხელისუფლება, მუშების და გლეხების სახელმწიფო.

◆

რუსი ხალხის ერთერთი უდიდესი შვილი და მისი სიამაყე იყო და არის ალექსანდრე სერგეის-ძე პუშკინიც.

პუშკინი, რომელმაც რუსეთის ლიტერატურაში ნამდვილი გარდატეხა მოახდინა, შეიქნა რუსეთის ახალი ნამდვილი ხალხური ლიტერატურის ფუძემდებელი, რომლიდანაც იწყება რუსი ხალხის ახალი ლიტერატურა, იწყება ახალი ეპოქა რუსი ხალხის მწერლობის ისტორიაში.

პუშკინამდე არსებული რუსული ლიტერატურა ხალხს მოწყვეტილი იყო, მას ხალხურ შემოქმედებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

პუშკინამდე მწერლები თაკილობდნენ უბრალო, მდაბიურ ენაზე წერას, რაც მათ უდიდეს ცოდვად და მხატვრული ღირსების შელახვად მიაჩნდათ.

პუშკინის პირველი და უდიდესი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან თავისი შემოქმედება, თავისი პოეტური ნაწარმოებნი—ლექსები, პოემები—დაუკავშირა იმ ცოცხალ სამეტყველო ენას, რომელიც ამოღებული იყო უბრალო ხალხური უმდიდრესი შემოქმედებიდან.

ეს სრულიად ახალი და უცხო რამ იყო რუსულ ლიტერატურაში. ამიტომაც იყო, რომ პუშკინის წინააღმდეგ მაშინვე დიდი ალიაქოთი ასტეხეს კლასიციზმისა და ცრუკლასიციზმის წარმომადგენლებმა.

პუშკინი არ შედრკა თავისი მოწინააღმდეგეების წინაშე. მან უფრო მეტი ძლიერებით და თავდადებით განაგრძო ხალხური სიტყვის, ხალხური სულის მხატვრულ ფერებში ასახვა.

ამნაირად შექმნა მან თავისი უკვდავი ნაწარმოებნი და რუსული ენა ხალხური თქმებით გაამდიდრა.

მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი ის არის, რომ პუშკინი შეიქნა თავისუფლების იდეების უდიდესი მომღერალი პოეტი და იმავე დროს მგმობელი მონობის, ბატონყმობის და მეფის თვითმპყრობელობისა.

პუშკინის ლიტერატურული მოღვაწეობა და პოეტური შემოქმედება გადაიშალა მე-19 საუკუნის პირველ მესამედში. ეს იყო ხანა, რომელიც უშუალოდ მისდევდა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის მიერ ევროპის ხალხთა ცხოვრებაში გამოწვეულ უდიდეს ცვლილებებს. ეს იყო ხანა, როცა რუსეთში მძვინვარებდა ბატონყმობა, როცა რუსეთის ხალხს მართავდნენ თვითმპყრობელი მეფეები — ხალხის სისხლისმსმელი ჯალათები. მებატონე-მემამულეებთან ერთად. ეს იყო ხანა თავად-აზნაურობის ბატონობისა როდესაც თავად-აზნაურობა მაჯლაჯუნასავით აწვა კისერზე რუს გლეხობას, შეუბრალებლად სწოვდა მას სისხლს და უსაზღვროდ და გაუკითხავად სტანჯავდა.

პუშკინი სწორედ ამ სასტიკ ეპოქაში აღიზარდა; იგი წარმოშობით ეკუთვნოდა რუსეთის თავად-აზნაურთა ბრწყინვალე წოდებას და იმავე დროს თავად-აზნაურობის იმ ვიწრო წრეს, რომელიც საკმაოდ ახლოს იდგა მეფის სასახლესთან. პუშკინისათვის მხოლოდ ერთი მხრით იყო ხელსაყრელი ეს გარემოება, სახელდობრ იმით, რომ იმ დროის კვალობაზე მას შეძლება მიეცა საკმაოდ ფართო განათლება მიეღო.

პუშკინს პატარაობიდანვე საშუალება ჰქონდა გასცნობოდა ლიტერატურის ისტორიას და განსაკუთრებით პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს, როგორც რუსულ, ისე უცხო ენებზე.

თერთმეტი წლის პუშკინი მიაბარეს ცარსკოე სელოს ახლადდაარსებულ პრივილეგიურ ლიცეიში, სადაც ღებულობდნენ მხოლოდ უმაღლესი წოდების პირთა შვილებს და რომელიც უზრუნველყოფილი იყო თავისუფლების მოყვარულ პირთა გავლენისაგან, რადგან აქ ყველაფერი და ყოველივე ისაზღვრებოდა ოფიციალური რეჟიმით, მიუხედავად ამისა, ცარსკოე სელოს ლიცეის კედლებში მაინც შეიჭრა რევოლუციური იდეების სუნთქვა და პუშკინიც მოხვდა ტოლამხანაგების ისეთ წრეში, რომლის წევრებმა შემდეგში მონაწილეობა მიიღეს დეკაბრისტების აჯანყებაში (პუშჩინი, კიუხელბეკერი და სხვები). პუშკინი მთელი თავისი ახალგაზრდული გატაცებით, მთელი თავისი ახალგაზრდული აღგზნებით ითვისებს თავისუფლების იდეებს და იჟღინთება ხალხის მტარვალების წინააღმდეგ ბრძოლის წყურვილით.

პუშკინმა სულ ადრე, თითქმის ბავშობიდანვე, იწყო ლექსების წერა და ლიცეიში ყოფნის დროს მან უკვე სამართლიანად მოიპოვა ნიჭიერი პოეტის სახელი, ლიცეის დამთავრების შემდეგ კი უკვე ცნობილი პოეტი გახდა. ამ დროს მას უკვე საკმაოდ მდიდარი ცოდნა ჰქონდა შეძენილი. ის ეწაფებოდა ყველაფერს, რაც კი ლიტერატურას შეეხებოდა: ლიტერატურის ისტორიას, ლიტერატურულ ნარკვევებს, ლიტერატურის კრიტიკას და ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობდა ხალხურ შემოქმედებას.

პუშკინი თავის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში თავიდანვე გარკვეულ პოზიციას დაადგა.

პუშკინი თავიდანვე დაუახლოვდა იმ მწერლებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეების ვიწრო ჯგუფს, რომლებიც ოპოზიციაში უდგნენ მეფეს, თავად-აზნაურობას, ბიუროკრატ მოხელეებს და საერთოდ ყველა გაბატონებულ კლასებს. პუშკინი არ ზოგავდა ოფიციალური რუსეთის მახინჯი მხარეების და ყველა იმ უმსგავსოებათა მხილებას და დაგმობას, რომლითაც სავსე იყო მეფის თვითმპყრობელური რუსეთი. მისი აღშფოთება ამ მხრივ იმ ზომამდე მიდიოდა, რომ მან იწყო ქადაგება ამ წესწყობილების უაზრობასა, მის სიდამპლე-ბედოვლათობაზე. პუშკინი არსებული წესწყობილების დამხობის ერთ-ერთ საშუალებას ტერორში ხედავდა (ლექსი „ხანჯალი“).

პუშკინი მალე დაუახლოვდა იმ თაობას, რომელიც დეკაბრისტების სახელითაა ცნობილი და რომელიც განსაკუთრებით აფასებდა პუშკინს.

პუშკინი თავისი ლექსებით დეკაბრისტების იდეების საუკეთესო პროპაგანდისტი და აგიტატორი შეიქნა (პუშკინის ლექსები „თავისუფლება“, „სოფელი“, „ჩაადაევს“, „ხანჯალი“ და სხვა მრავალი, რომლებიც ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა მოწინავე ინტელიგენციის წრეებში).

პუშკინი, მართალია, უშუალოდ არ შედიოდა შეთქმულთა საზოგადოებაში, რასაც თვით დეკაბრისტები ეწინააღმდეგებოდნენ, რომ მისთვის ხიფათი აეცდინათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პუშკინი მთელი თავისი არსებით და მისწრაფებებით თანაუგრძნობდა დეკაბრისტებს, რაც სჩანს, სხვათა შორის, პუშკინის და მეფის ერთი ბაასიდან დეკაბრისტების დასჯის შემდეგ.

მოვიყვანოთ აქ ცნობილი დიალოგი ნიკოლოზ პირველსა და პუშკინს შორის. მეფე ეკითხება პუშკინს:

— პუშკინ, მიიღებდი თუ არა მონაწილეობას 14 დეკემბრის აჯანყებაში, პეტერბურგში რომ ყოფილიყავი?

— უთუოდ, — უპასუხებს პუშკინი. — ყველა ჩემი მეგობრები შეთქმულნი იყვნენ და მე არ შემეძლო არ მიმეღო მონაწილეობა შეთქმულებაში, მხოლოდ პეტერბურგში არყოფნამ მიხსნა.

◆

პუშკინის ლექსები, რომლებიც თავისუფლების იდეებით იყო გამსჭვალული, ფართოდ იყო გავრცელებული ხელნაწერების სახით. ეს ლექსები აღმოაჩნდა ყველას, ვინც კი დეკაბრისტების აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდა.

პოეტი ჟუკოვსკი—პუშკინის ერთ-ერთი პატივმცემელთაგანი—სწერდა დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ, რომ „საიდუმლო საზოგადოების დატუსაღებულ წევრებს უხვად აღმოაჩნდათ პუშკინის თავისუფლების მქადაგებელი ლექსები, რომლებიც ჰკვებავდნენ მთელი მოზარდი თაობის მშფოთვარე სულსო“.

და მართლაც, პუშკინის ლექსები უაღრესად მომხიბლავი და მომჯადოებელი, ბრძოლის სულით გამსჭვალული იყვნენ.

პუშკინის ლექსები იმ დროის რუსეთში სრულიად უჩვეულო და უმაგალითო რამ იყო. აი ერთი ადგილი მისი ლექსიდან „თავისუფლება“ („Вольность“), რომელიც დაწერილია პოეტის მიერ, როცა იგი 18 წლისა არც კი იყო, და რომელშიაც პოეტი ასე მიმართავდა ხალხის მტარვალებს (მეფეებს):

Любимцы ветреной судьбы,
Тираны мира, трепещите,
А вы — мужайтесь и внемлите:
Восстаньте, падшие рабы.

და იქვე ქვემოთ:

Владыки, вам венец и трон
Дает закон, а не природа,
Стоите выше вы народа,
Но вечный выше вас закон.

ლექსში „სოფელი“, რომელიც დაწერილია, როცა პოეტი 20 წლისა იყო, პუშკინი, ალექსანდრე რადიშჩევის შემდეგ პირველად, საჯაროდ და სასტიკად ჰგმობდა და მთელი თავისი აღგზნებით ამათრახებდა ბატონყმობას და მებატონეებს. პოეტი, სხვათა შორის, იქ სწერდა:

იღვრება ცრემლი, გაისმის კვნესა,
განგებამ ხალხს რომ მიუჩინა და მიაკუთვნა;
მაგრამ გულცივ და უსამართლო ბატონებს დღისაც
არ ესმით ხალხის... მებატონემ დაისაკუთრა
შრომა, სახლკარი, დრო და ოფლი მიწის მონისა.
სხვის გუთანს მისდევს მათრახებით წინ გაგდებული
ბრბო მონებისა, რომ ყანა მხნას — გამდიდრებული,
გულდახურული მებატონისა.
მძიმე უღლის ქვეშ მშრომელები სიკვდილს ხვდებიან,
იმედს და სწრაფვას გადაექცა გული სავალალოდ.
აქ ქალწულები იფურჩქნებიან
გარყვნილ ვერაგის ჟინმოსაკლავად.
მოხუც მამების ვაჟიშვილები,
სახლის იმედად გამოზრდილები,
ხტოვებენ მიწას და მიდიან ახალ წვალებად
სასახლის კართან ჩუმ მონების გასამრავლებლად.
(თარგმანი პ. იაშვილის)

ეს იყო დაუზოგველი მხილება მთელი მაშინდელი ოფიციალური საზოგადოებისა მეფის მეთაურობით.

გენიალური წინასწარმეტყველებით სუნთქავენ პუშკინის სიტყვები ლექსში, რომელიც მიძღვნილი იყო მისი უფროსი და უახლოესი მეგობრის, ცნობილი ჩაადაევის მიმართ:

შენც, ამხანაგო, გჯეროდეს: მოვა
სხივდანთებული ბედნიერება,
რუსეთს დასტოვებს ძილი და გლოვა
თვითმპყრობელობის ნამსხვრევთა გროვას
ჩვენი სახელი დაეწერება.
(თარგმანი პ. იაშვილის)

როცა გვირგვინოსანი თვალთმაქცი და მატყუარა ნიკოლოზ I გაეცნო პუშკინის რევოლუციური შინაარსის ლექსებს, გადაწყვეტილ იქნა პუშკინის თავიდან მოშორება და მისი გაგზავნა ციმბირში ან ცნობილ სოლოვეცკის მონასტერში. ამ სასჯელს, რომელიც პუშკინისათვის სიკვდილს უდრიდა, გადაარჩინა იგი პოეტმა ჟუკოვსკიმ; ეს სასჯელი პუშკინს შეეცვალა გადასახლებით ჯერ სამხრეთ რუსეთში და შემდეგ სოფ. მიხაილოვსკოეში—პსკოვის გუბერნიაში.

ამ ზომებმა ვერ შეარყიეს პუშკინის სული. პუშკინი გადასახლების დროს უფრო მეტად დაუახლოვდა სამხრეთ-რუსეთში მყოფ დეკაბრისტებს, რომლებიც აჯანყებისათვის ემზადებოდნენ. პუშკინი მონაწილეობასაც კი ღებულობდა შეთქმულთა სხდომებზე. ხოლო სოფელ მიხაილოვსკოეში გაგზავნის შემდეგ პუშკინი თითქმის სრულებით მოწყვეტილ იქნა თავის მეგობრებთან ყოველივე ურთიერთობას.

როგორც ვიცით, დეკაბრისტების აჯანყების დროს პუშკინი არ იმყოფებოდა პეტერბურგში, მაგრამ მან იცოდა, რომ მზადდებოდა აჯანყება მეფის თვითმპყრობელობის დასამხობად, და ის, ადრე თუ გვიან, უთუოდ უნდა მომხდარიყო.

როცა პუშკინმა ამ აჯანყების ამბავი გაიგო და გაიგო იმის მეთაურების ბედიც, პოეტი მოიცვა საშინელმა მწუხარებამ, რომ იგი თავის სიცოცხლეს თითქო უმოქმედობაში ლევდა. ამავე დროს იგი ყოველ წუთს ელოდა დაპატიმრებას.

პუშკინი არ დაუპატიმრებიათ. ნიკოლოზ პალკინის (ნიკოლოზ I ასე ეძახდნენ) განკარგულებით პუშკინი გაწვეულ იქნა სოფ. მიხაილოვსკოედან პირდაპირ მოსკოვში ნიკოლოზ პალკინთან. აი სწორედ აქ მოხდა ის დიალოგი, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ.

ნიკოლოზ პალკინმა მოინდომა პუშკინი თავის კაცად გაეხადნა, რისთვისაც იგი გარეგნულად განსაკუთრებით თბილად და ალერსით შეხვდა დიდ პოეტს და დაჰპირდა მას „ძველი ცოდვების“ პატიებას და სრული თავისუფლების მინიჭებას. მაგრამ იმავე დროს ნიკოლოზ პირველმა თავისი თავი გამოაცხადა პოეტის ყველა ნაწერების ცენზორად.

რასაკვირველია, ნიკოლოზ პირველს უნდოდა, რომ დიდი პოეტი, სახელოვანი პუშკინი, გამხდარიყო მის ტრუბადურად, რომ ამ უკანასკნელს ხელი აეღო რევოლუციური ლექსების და ეპიგრამების წერაზე, ესე იგი მას სურდა დაემორჩილებინა პოეტი.

ყოველივე ეს მხოლოდ უხეირო კომედია იყო.

დაპირებული თავისუფლების მაგიერ პუშკინი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მოექცა და საიდუმლო პოლიციის ნებადაურთველად მას ფეხის გადგმაც კი არ შეეძლო პეტერბურგიდან.

ნიკოლოზ პალკინის ცენზორად გამოცხადება მძიმე ლოდივით დააწვა პუშკინის შემოქმედებას. ამ მეურვეობისათვის თავის დაღწევა პოეტისათვის შეუძლებელი შეიქნა.

◆

ამბობდნენ, თითქოს პუშკინი გამოეთხოვა იმ რევოლუციურ სულისკვეთებას, რომლითაც გაჟღენთილი იყო მისი წინანდელი ლექსები დეკაბრისტების დამარცხებამდე; ამბობდნენ, თითქოს პუშკინმა ხელი აიღო იმ ლექსებზე, რომლებიც მიმართული იყვნენ მეფის რუსეთისა და [illegible] ხალხს, რომ ახლა იგი სწერდა „მხოლოდ ხელოვნებისათვის“ და არა ცხოვრებისათვის. ამის საბაბს იძლეოდა თითქოს პოეტის სიტყვები ლექსში „პოეტი და ხალხი“, სადაც პოეტი ამბობს:

Подите прочь, — какое дело
Поэтому мирному до вас.
В разврате каменейте смело,
Не оживит вас лиры глас.
Душе противны вы, как гробы,
Для вашей глупости и злобы
Имели вы до сей поры
Бичи, темницы, топоры.
Довольно с вас, рабов безумных...

მაგრამ ეს ასე არ იყო. ამ სიტყვებით პოეტი მიმართავდა არა ნამდვილ ხალხს, არამედ იმავე ოფიციალურ საზოგადოებას, რომლის სათავეში იდგნენ ძლიერნი მდგომარეობით, მჩაგვრელები, უსულგულო, გამოფიტული მტარვალები, ფლიდი და ბილწი თავადები, გრაფები, ბარონები, გენერლები, მინისტრები და სხვანი და სხვანი, რომლებიც მოითხოვდნენ პოეტისაგან მათთვის ხოტბის შესხმას.

აი სწორედ ეს „ხალხი“ ჰყავდა მხედველობაში პუშკინს, როცა ის სწერდა ზემომოყვანილ სიტყვებს: „მომშორდით, თავი დამანებეთ“!

გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს სხვა საბუთებიც, რომლებიც ნათლად მოწმობენ, რომ პოეტს შერჩა წინანდებური განწყობილება როგორც ოფიციალური რუსეთისადმი, ისე პროგრესიულ-რევოლუციური იდეებისადმი. მაგალითად, ერთ ლექსში, რომელიც პუშკინმა დასწერა 1827 წელს და მიუძღვნა დეკაბრისტებს, — რომლებიც ციმბირის საკატორღო ციხეში იტანჯებოდნენ, აშკარად სჩანს პოეტის რევოლუციური სულისკვეთება.

გეწვევათ ძმობა, მას თავის დღეში
ვერ შეაჩერებს ციხის ურდული,
ისე, ვით თქვენი კატორღის ხვრელში
ჩემი ხმა მოდის როგორც შურდული.
ბორკილის მტვრევა ჩვენ მოგვიხდება,
დაირღვევიან ციხის კარები,
თავისუფლება წინ დაგიხვდებათ
და ძმები მახვილს ჩაგაბარებენ.
(თარგმანი პ. იაშვილის)

შეუძლებელია, რომ ასეთი ბრწყინვალე იმედით და თავისუფლებისათვის ბრძოლით აღსავსე სიტყვები დაეწერა იმედდაკარგულ პოეტს. ასეთივე ღრმა რწმენით გამსჭვალულია პუშკინის მეორე ლექსი „მეგობრებს“, რომელიც დაწერილია იმავე 1827 წელს და რომელიც მიძღვნილია იმავე კატორღელ დეკაბრისტებისადმი.

Бог помочь вам, друзья мои,
И в бурях, и в житейском горе,
В краю чужом, в пустынном море
И в мрачных пропастях земли.

დეკაბრისტებმა თავის მხრივ პუშკინს ამ მიმართვაზე პოეტ ოდოევსკის პირით უპასუხეს შემდეგი აღგზნებული დაუვიწყარი ლექსით:

გრძნეულ სიმების მგზნებარე ხმები
მოთრთოლავ გულისყურს მოესმა, ჩასწვდა,
ხმლებზე გავიწით მყისვე ხელები,
მაგრამ ამაოდ, ბორკილი დაგვხვდა.

იყავი მშვიდად, ჩვენი ბედიღბლის
მჟღრავ ხუნდებით ვამაყობთ მარად
და ბნელ ციხეთა ურდულებს შიგნით
გულში მეფეებს დავცინით კვლავად.

არ დაიკარგვის შრომა მწუხარე,
ნაპერწკლისაგან აღვანთებთ ალსა
და გულმართალი ხალხი მქუხარე
წმინდა დროშის ქვეშ მოიყრის თავსა.

ბორკილებისგან ნაჭედი ხმლებით
თავისუფლების კოცონს დავანთებთ.
უგნურ მეფეებს თავს დავატყდებით
და ხალხს სიამით ამოვასუნთქებთ.
(თარგმანი ე. პოლუმორდვინოვის)

1826 წლიდან დაწყებული პუშკინის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა და თანდათან აუტანე[illegible] იგი აითვალისწუნა, ამცირებდა და უსიამოვნებებს აყენებდა უდიდეს პოეტს.

ასეთ აუტანელ პირობებში უძნელდებოდა ცხოვრება პუშკინს და მას არ ჰქონდა არავითარი შესაძლებლობა გაეწყვიტა კავშირი და მოშორებოდა ამ საზოგადოებას.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზ I დარწმუნდა პუშკინის შეურიგებლობაში, იგი მაინც უხერხულად სთვლიდა მის აშკარა დევნას.

აი, ასეთ პირობებში პუშკინი მაინც ჰქმნიდა თავის უკვდავ ნაწარმოებებს, როგორიც არის: „ევგენი ონეგინი“, „ბორის გოდუნოვი“, „სპილენძის მხედარი“, „პოლტავა“ და სხვა მრავალი.

პოემა „ევგენი ონეგინს“ პუშკინმა მოანდომა თითქმის 10 წელზე მეტი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის დაუმთავრებელი დარჩა.

პუშკინი ამ პოემაში ხატავს თავის ეპოქას.

პოემა „ევგენი ონეგინში“ პუშკინი გვიხატავს მაღალ წოდებას: გაფუქსავატებულ და გაკოტრებულ გზაზე დამდგარ თავად-აზნაურობას, მინისტრებს, იმ საშინელი სინამდვილის გამოშლებით, რომელშიაც მეფის მაშინდელი რუსეთი იხრჩობოდა.

ამ პოემაში პუშკინმა უნაკლოდ, მთელი თავისი რაობით გააშიშვლა თავისი ეპოქა და ნიღაბჩამოგლეჯილი გადაუშალა წინ რუსეთის საზოგადოებას.

პოემის X თავი პოეტმა დასწვა. ამ თავის დასახასიათებლად მომყავს მისი დასაწყისი:

Властитель слабый и лукавый,
Плешивый щеголь, враг труда,
Нечаянно пригретый славой,
Над нами властвовал тогда.

ამ სიტყვებით ახასიათებდა პუშკინი რუსეთის მეფეს ნიკოლოზ პირველს.

ამავე X თავში არის აგრეთვე სტრიქონები, რომლებიც მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იქნა გახსნილი, და სადაც უმთავრესად დეკაბრისტების მეთაურები არიან გამოყვანილი: ლუნინი, იაკუშკინი, ტურგენევი, პესტელი, მურავიოვი და თვით პუშკინიც, რომელიც თავის ნოველებს კითხულობდა დეკაბრისტების კრებებზე. დეკაბრისტების საზოგადოებაში შეჰყავდა პოეტს ონეგინიც.

გარდა ამისა, რომ პოემა „ევგენი ონეგინი“ შეიცავს რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა ფენების შესანიშნავ დახასიათებას, ის იმავე დროს წარმოადგენს რუსეთის ბუნების, ქალაქის და სოფლის პეიზაჟების შეუდარებელ აღწერას.

ეს პოემა თავიდანვე შეიქმნა ყველაზე საყვარელ წიგნად.

ამავე პოემის გვერდით დგას მისი ისტორიული დრამა „ბორის გოდუნოვი“, რომელიც ასახავს რუსეთის ხალხის ისტორიის მეტად საყურადღებო ხანას.

ეს დრამა არის ნამდვილი შექსპირისებური ნაწარმოები, სადაც გამოყვანილი და მეტად მოკლედ, მაგრამ უდიდესი მხატვრობით დახასიათებული არიან მეფეები, თავადები, გლეხები, მოხელეები, პატრიარქები, ბერები მათხოვრები და სხვ.

რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა ამ დრამაში, ეს არის რუსი ხალხის ფსიქოლოგიის, მისი უდიდესი პოტენციალური დაფარული ძალის მოცემა, იმ ძალის, რომელიც მომავალში მთელი თავისი გაქანებით და შესაძლებლობით გამოაშკარავდა რუსეთის რევოლუციებში.



ამ მხრივ საყურადღებოა განსაკუთრებით დასასრული დრამისა, რომელიც იშვიათი მხატვრული ხერხებით არის მოცემული, სადაც პუშკინი, ეს უდიდესი მხატვარი და ამავე დროს მდაბიო ხალხის სულისკვეთებისა და მისწრაფებების მესაიდუმლე, იძლევა ამას უდიდესი მხატვრული ოსტატობით მხოლოდ ორ სიტყვაში: „ხალხი სდუმს“...

აქ პუშკინმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი გენიალობა, როგორც დიდმა მხატვარმა.

იმ ღრმა აზრებთან ერთად, რომელიც პუშკინს გატარებული აქვს ყველა თავის ნაწარმოებში, ჰარმონიულად შეხამებულია ლექსის მუსიკალობა და რითმი. პუშკინის ნაწარმოებთა კითხვის დროს მკითხველი განიცდის უდიდეს ესთეტიკურ კმაყოფილებას, და ეს სრულიად ბუნებრივიც არის, რადგანაც პუშკინის ლექსებს ახასიათებს სიმსუბუქე ხალხური. სასაუბრო ენისა, რომელიც განსაკუთრებული ხელოვნებით არის აკინძული და ამავე დროს მუსიკალობით სავსეა, რომელიც ჰხიბლავს და რომელიც იმდენად მიმზიდველ-მომჯადოებელია, რომ დაუსრულებლად გინდათ იკითხოთ და კიდევ იკითხოთ.

◆

1828-29 წლებში პუშკინის გარშემო ისევ შავი ღრუბლები გროვდება. იგი ფიქრობდა სადმე გარდახვეწას, სატახტო ქალაქიდან, პეტერბურგიდან, რუსეთიდან გაქცევას; ფიქრობდა მოშორებოდა იმ საზოგადოებას, რომელიც ფუქსავატობაში და გარყვნილებაში იხრჩობოდა, რომელიც ამცირებდა და დასცინოდა ხალხის უმაღლეს გრძნობებს—სიყვარულს.

მაგრამ პოეტმა ეს ვერ მოახერხა.

ამ აუტანელ მდგომარეობაში მყოფმა პოეტმა გადასწყვიტა უნებართვოდ კავკასიაში გამგზავრება. ეს იყო 1829 წელს.

კავკასიაში მას იზიდავდა სხვადასხვა მიზნები. პირველ ყოვლისა მას სურდა გასცნობოდა კავკასიას და იმ ამბებს, რომლებიც იმ დროს კავკასიაში ხდებოდა, რაც დაკავშირებული იყო რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის ხალხთა დაპყრობასთან და ამით გამოწვეულ განუწყვეტელ ომებთან.

პუშკინს სურდა საკუთარი თვალით ენახა კავკასიის ხალხნი იმათ უბედურებაში და მწუხარებაში.

მას უნდოდა აგრეთვე საკუთარი თვალით ენახა თურქეთთან წარმოებული ომის სურათები.

გარდა ამისა, მას უნდოდა თავისი ძველი მეგობრების—ყოფილი დეკაბრისტების ნახვაც, რომლებიც თურქეთთან იბრძოდნენ.

ეს მოგზაურობა პუშკინმა აღწერა თავის წიგნში „მოგზაურობა არზრუმში“.

როცა კითხულობ ამ წიგნს, ნათლად ხედავ, რომ პუშკინი არაფრად აფასებდა თავის სიცოცხლეს. იგი ხშირად მარტოდ-მარტო დადიოდა ცხენით ისეთ ადგილებში, რომლებიც ყოველ წამს საფრთხეს უმზადებდნენ მგზავრს არამც თუ ღამით, დღისითაც კი. და ასეთ გზებზე პუშკინი ხშირად ცხენით ღამითაც დადიოდა და თავის სიცოცხლეზე ოდნავაც არ ფიქრობდა.

პუშკინი მართლაც დაესწრო ბრძოლებს თურქეთის ჯარებთან და თვითონაც მიიღო მონაწილეობა ერთ შეტაკებაში არზრუმის მახლობლად.

არზრუმი აღებულ იქნა რუსის ჯარების მიერ პასკევიჩის მეთაურობით პუშკინის იქ ყოფნის დროს.

პასკევიჩი, რომელიც იმ დროს ომებში დიდი გამარჯვებებით მეტისმეტად განებივრებული იყო და თავის თავს ალექსანდრე მაკედონელზე და ნაპოლეონზედაც კი მაღლა აყენებდა, გარეგნულად ალერსით შეხვდა პუშკინს, დარწმუნებული, რომ პოეტი მას ქებათა-ქებას შეასხამდა და განადიდებდა. ხოლო როდესაც დარწმუნდა, რომ პუშკინს არ ჰქონდა ისეთი განზრახვა, რასაც განებივრებულ პასკევიჩს ელანდებოდა, მან ისარგებლა ფრონტზე გაჩენილი ჟამით და პუშკინს ურჩია ჩქარა დაბრუნებულიყო უკან.

პუშკინმა მოულოდნელად დასტოვა არზრუმი და აჩქარებით გაემგზავრა თბილისში, საიდანაც შემდეგ ჩქარა დაბრუნდა რუსეთში. ძველს, ქალაქ თბილისს, ალამაჰმადის მიერ აოხრების 34 წლის შემდეგ, ბედნიერება ჰქონდა ეხილა თავის კედლებში რუსეთის უდიდესი და სახელოვანი პოეტი პუშკინი. პოეტმა აქ ყოფნის დროს ბევრი რამ ნახა საყურადღებო თავისი შემოქმედებისათვის. ამ მოგზაურობის დროს პუშკინმა განვლო 7 ათას კილომეტრზე მეტი მანძილი, და ისიც მეტად მოკლე ვადის განმავლობაში.

ასეთი სისწრაფე აიხსნებოდა იმით, რომ როგორც კი პუშკინი გამოემგზავრა პეტერბურგიდან კავკასიაში, მას უკან დაადევნეს საიდუმლო მიწერილობები მთავრობის აგენტების მიმართ, რომელთაც აცნობებდნენ, რომ „მოემგზავრება პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი მელექსე, სამსახურს გარეშე მყოფი მეათე კლასის მოხელე პუშკინი და ამიტომ გევალებათ მას სასტიკად ადევნოთ თვალყური“.

პუშკინმა ეს კარგად იცოდა, და ამიტომ უხერხულად სთვლიდა დიდხანს ერთ ადგილზე გაჩერებას.

თავისთავად იგულისხმება, რომ მაშინდელი რუსეთის საზოგადოება დიდი ინტერესით მოელოდა, რომ პუშკინი კავკასიიდან დაბრუნების შემდეგ აამღერებდა თავის ჩანგს და ქებათა-ქებას შეასხამდა რუსეთის იარაღს და რუსეთის მამაც გენერლებს, რომლებიც რუსეთის თვითმპყრობელობის და ქრისტეს ჯვრის სახელით იპყრობდნენ ახალ-ახალ ქვეყნებს კავკასიაში.

მაგრამ ისინი მოსტყუვდნენ. მართალია, პუშკინმა დასწერა რამდენიმე მშვენიერი ლექსი კავკასიაში მიღებული შთაბეჭდილებების გავლენით, მაგრამ ამ ლექსებში ჩვენ ვერ ვხედავთ იმას, რასაც მისგან ოფიციალური რუსეთი მოელოდა.

მხოლოდ 1835 წელს პუშკინმა გამოაქვეყნა თავისი „მოგზაურობა არზრუმში“, სადაც იგი ასწერს ამ მოგზაურობას და იმ შთაბეჭდილებებს, რომლებიც მან აქ მიიღო.

გზადაგზა იგი იძლევა შენიშვნებს სხვადასხვა საყურადღებო საკითხებზე.

მეტად საინტერესო და საყურადღებოა პუშკინის დამოკიდებულება რუსეთის იმპერიალისტური და კოლონიალური პოლიტიკის მიმართ კავკასიაში, თუმცა თავის შთაბეჭდილებებისა და შენიშვნების გადმოცემაში პუშკინი მეტად დიდ სიძუნწეს იჩენს.

პუშკინი ხედავდა კავკასიის ხალხების ეკონომიურად და კულტურულად მეტისმეტ ჩამორჩენას და განუვითარებლობას, და ამიტომ ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ შეიძლებოდა იმათი გამოყვანა ამ მდგომარეობიდან. მაგრამ იგი უარჰყოფდა ამ მიზნის მისაღწევად ცეცხლისა და მახვილის პოლიტიკას, რომელსაც მაშინ კავკასიაში რუსეთის მთავრობა აწარმოებდა.

პუშკინი ამბობდა ამ მიზნის მიღწევა, ე. ი. რუსეთის ხალხის დაახლოვება კავკასიის ხალხებთან, სხვა საშუალებითაც შეიძლებაო. მაგალითად, იგი მიუთითებდა აღებ-მიცემობის განვითარებაზე, ფუფუნების ზოგიერთი საგნების შეტანაზე იქ; სამოვარსაც კი შეეძლო, მისი შეხედულებით, ამ სამსახურის გაწევა.

ბოლოს იგი ამბობს, რომ სახარების ქადაგებას შეუძლია უდიდესი გავლენა მოახდინოს ჩრდილო-კავკასიის ხალხებზე მათთან მშვიდობიანი ურთიერთობის დასამყარებლადო, მაგრამ, მწუხარებით აღნიშნავს პუშკინი თავის წიგნში, ჩვენ ჯერ არ გვიფიქრია ასეთ რამეებზეო.

ამგვარად, პუშკინი არა თუ არ ამართლებდა და არ იზიარებდა რუსეთის მთავრობის მიერ კავკასიაში წარმოებულ პოლიტიკას — ცეცხლისა და მახვილის პოლიტიკას, არამედ პირდაპირ ჰგმობდა მას.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა პუშკინის ლექსი „კავკასია“, რომელიც დასწერა მან 1829 წელს, კავკასიიდან დაბრუნების შემდეგ.

ეს მშვენიერი ლექსი, რომელსაც ყველა კარგად იცნობს, მხატვრულად გადმოგვცემს კავკასიის მკაცრ და გრანდიოზულ ბუნებას.

ამ ლექსის ბოლო უკანასკნელ დრომდე არ იყო ცნობილი. ეს ბოლო ამჟღავნებს პუშკინის დამოკიდებულებას იმ სისხლიანი პოლიტიკის მიმართ, რომელსაც თვითმპყრობელობა კავკასიის ხალხთა მიმართ აწარმოებდა.

ეს დაბოლოება, დაწერილი პუშკინის ხელით, დღემდე ინახებოდა არქივებში და მან მხოლოდ დღეს იხილა დღის სინათლე.

როგორც ცნობილია, ეს ლექსი თავდებოდა შემდეგი სიტყვებით:

ამაოდ. მისთვის აღარც საზრდო, შველაც როდია,
მისთვის კლდეები შემზღუდველი კალაპოტია.

მაგრამ აქ რაღაც აკლდა; სინამდვილეში პუშკინს დაუბოლოებია ეს ლექსი შემდეგი ტაეპით:

ასე ხილალის სულს უხუთავს კანონი ავი,
ასევე კირთებს ქვეშ ღონდება ველური ტომი,
ასევე ბრაზობს დღეს კავკასი, მდუმარე მდგომი,
ასე სურს უცხო ძალებისგან დაიხსნას თავი.
(თარგმანი პ. იაშვილის)

აქ პუშკინი ჰგმობს მეფის პოლიტიკას, რომელიც ავიწროებდა კავკასიის ხალხთა თავდაუჭერელ თავისუფლებას, რომლის გამო ეს ხალხები შფოთავდნენ, რადგანაც უცხო ძალები მათ გასაქანს არ აძლევდნენ. ესაა დასკვნა იმ შთაბეჭდილებებისა და დაკვირვებების, რომლებიც პუშკინმა კავკასიაში ყოფნის დროს მიიღო.

პოეტმა თავისი დაკვირვებები აქ შეუდარებელი მხატვრული სახეებით მოგვცა.

ზევით მოყვანილ სიტყვებში გამოხატულია პუშკინის შეხედულება იმ დროის ამბებზე, რომლამდისაც ვერ მიუღწევია მანამდე ვერცერთ პოეტს და ვერცერთ საზოგადოებრივ მოღვაწეს. შეიძლება ითქვას, რომ მარტო ამ ოთხსტრიქონიან ტაეპს უმაღლეს კვარცხლბეკზე აჰყავს პუშკინი, როგორც დიდი გენიალური მხატვარი.

აქ, ამ ტაეპში, პუშკინმა მოგვცა კავკასიის ხალხთა მწარე ბედი, რომლებიც მოქცეული იყვნენ და იტანჯებოდნენ თვითმპყრობელობის მარწუხებში.

ასეთი იყო პუშკინი, — რუსი ხალხის ეს უდიდესი პოეტი, რომელიც თავისი ნაწერებით მუდამ აღვიძებდა საზოგადოებას, როგორც თავის თანამედროვეთ, ისე მომავალ თაობებსაც.

◆

დეკაბრისტების ზარბაზნებმა რამდენადმე გამოაღვიძეს რუსეთის საზოგადოება, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთი მომენტი, ხოლო პუშკინის პოეზია შეიქნა რუსეთის ხალხის გამომაფხიზლებელი იარაღი, რომელიც მუდმივად აღვიძებდა ხალხს და აგზნებდა მას ბრძოლას არსებული წესწყობილების წინააღმდეგ.

პუშკინი არ შეურიგდა არც მეფის მთავრობას, არც მის დამქაშებს — უმაღლეს არისტოკრატიულ წრეებს. მათ შორის განუწყვეტელი შინაგანი ბრძოლა სწარმოებდა და ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც პუშკინი მთე-

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხალხის დიდი მწერალი

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების დასასრული

ლი თავისი პოეტური შემოქმედებით ძირს უთხრიდა თვითმპყრობელობას და ბატონყმობას და ქადაგებდა ხალხთა თავისუფლებას.

ეს ურთიერთ განწყობილება თანდათან მწვავდებოდა და ახლოვებდა კატასტროფას.

პუშკინის ირგვლივ ჰქმნიდნენ აუტანელ ატმოსფეროს, ავრცელებდნენ ჭორებს პუშკინის თავმოყვარეობის შესალახავად და მის დასამცირებლად, და პოეტი იძულებული შეიქნა პასუხი გაეცა ამ ყოვლად უსინდისო თავდასხმებზე.

მისმა მტრებმა, რომელთა შორის პირველ როლს თამაშობდა თვით ნიკოლოზ პალკინი, ამოირჩიეს ვინმე დიპლომატი, ბილწი და ყოვლად გათახსირებული დანტესი. საქმე უკიდურესად გამწვავდა, რამაც გამოიწვია დუელი პუშკინსა და დანტესს შორის.

დუელში პუშკინი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ მისი გადარჩენა მაინც შეიძლებოდა, ხოლო ეს არ შედიოდა პოეტის მოსისხლე მტრების გეგმაში.

პუშკინი გარდაიცვალა 1837 წელს თებერვლის 11-ს ახალი სტილით. პუშკინი მოჰკლეს ფიზიკურად, მაგრამ ვერ მოჰკლეს მისი შემოქმედება, მისი გენია, რომელიც მარად და მარად უკვდავი დარჩება. პოეტის მკვლელები კი ისტორიამ სამარცხვინო ბოძზე გააკრა.

პუშკინის სიკვდილმა თავზარი დასცა მის მეგობრებს და მის თაყვანისმცემელთ.

პუშკინის სიკვდილს მაშინვე გამოეხმაურა ახალგაზრდა, უნიჭიერესი პოეტი ლერმონტოვი თავისი მამხილებელი ლექსით „პოეტის სიკვდილი", სადაც პოეტი უძლიერესი აღშფოთებით მიმართავდა პუშკინის მკვლელებს:

თქვენ კი, ამაყო შთამომავალნო
ცნობილ სიფლიდით განთქმულ მამების,
დაჩაგრულ გვართა ნამსხვრევებზე
ქუსლით მავალნო
თქვენი მონური გათამამებით;
თქვენ, ხარბი ბრბოით შეკრებილნო
ტახტის გარშემო,
ჯალათნო ნიჭის, დიდების და
თავისუფლების.
(თარგ. გ. გაჩეჩილაძის)

და შემდეგ.

და ვერასოდეს მოირეცხავთ მაგ შავი
სისხლით
მგოსნის მართალი სისხლის ნაკვალევს.

ეს იყო უშიშარი გამოწვევა, მიმართული პოეტის მტრების — უმაღლესი არისტოკრატიის მიმართ, რისთვისაც ლერმონტოვი დატუსაღებულ იქნა ნიკოლოზ პალკინის ბრძანებით.

პუშკინი ჯერ კიდევ სიკვდილს ებრძოდა, როცა ნიკოლოზ პალკინმა მისწერა მას მუქარის წერილი, რომ იგი მომკვდარიყო ქრისტიანული წესით, და ამ შემთხვევაში ნიკოლოზი კისრულობდა პუშკინის ოჯახის უზრუნველყოფას. გარდა ამისა, მან მიიღო ზომები, რომ მომაკვდავ პოეტს არაფერი გამოემჟღავნებინა იმათი ურთიერთობის შესახებ.

პეტერბურგის მცხოვრებლებმა, გაიგეს თუ არა საყვარელი პოეტის დაღუპვის ამბავი, მაშინვე იწყეს დენა მის ბინისაკენ. პუშკინის ბინას აუარებელი ხალხი მიაწყდა. ყოველგვარი დემონსტრაციის თავიდან ასაცილებლად ნიკოლოზ პალკინმა გასცა განკარგულება პუშკინის გვამი დაუყოვნებლივ ქურდულად გადაესვენებინათ პსკოვის გუბერნიაში დასაკრძალავად; ამავე დროს აკრძალული იყო ყოველგვარი შეკრება, და პანაშვიდის ნებაც კი არ დართეს.

პოეტის კაბინეტი დაბეჭდილ იქნა და რამდენიმე დღის შემდეგ ის გაჩხრიკეს ჟანდარმებმა.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჟანდარმებმა ამ გაჩხრეკის დროს ბევრი რამ მოსპეს.

პუშკინის ცხედარი ისე დაკრძალეს, რომ საზოგადოებამ მხოლოდ 10 წლის შემდეგ, ე. ი. 1847 წელს გაიგო მიზეზი, თუ რისგან დაიღუპა პოეტი.

●

პუშკინის დაღუპვის შემდეგ მისი ნაწერების, მისი შემოქმედების მემკვიდრე შეიქნა მთავრობა — ნიკოლოზ პალკინი, ჟანდარმები, ბენკენდორფი და დუბელტი, რომლებმაც მიიღეს საჭირო ზომები, რომ პუშკინის მრავალი ნაწერი სრულიად განედევნათ პოეტის ნაწარმოებთა გამოცემებიდან. დანარჩენ ნაწარმოებებიდანაც შლიდნენ ისეთ ადგილებს, რომლებიც რუსეთის მაშინდელ ბატონ-პატრონთათვის მიუღებელი იყო.

ამ სამარცხვინო საქმეში უდიდეს როლს თამაშობდა უმაღლესი სამღვდელოებაც.

ასეთი ზომების შედეგად პუშკინი დამახინჯებულ და გაყალბებულ იქნა, ნამდვილი პუშკინი ხალხისათვის უცნობი შეიქნა. უნდოდათ, რომ პუშკინი ყოფილიყო ხალხის თვალში მეფის და ტახტის მადიდებელი და ქრისტიანობის მქადაგებელი.

ასე იქცეოდნენ რუსეთში, ასევე იქცეოდნენ ჩვენშიაც.

პუშკინის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო 1899 წელს თბილისში გამოცემულ იქნა კრებული, რომელშიაც მოთავსებული იყო წერილები გარყვნილ და გათახსირებულ ხუცეს ვოსტორგოვისა და შავრაზმელ და შოვინისტ ველიჩკოსი.

ვოსტორგოვს პუშკინი გამოჰყავდა ღვთის მორწმუნედ და კეთილ მართლმადიდებელ ქრისტიანად. ხოლო შავრაზმელ პოეტს ველიჩკოს მეფის თვითმპყრობელობის მომხრედ და მათაყვანებლად, რაც პოეტის ხსოვნის შეურაცყოფა იყო.

ასეთ ჭირისუფლობას უწევდნენ უდიდეს პოეტს მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები და დამცველები. იმათ ვერ შეეძლოთ სრულიად დავიწყებისათვის მიეცათ პუშკინი, რადგანაც ეს ყოვლად შეუძლებელი იყო, და ამიტომ ისინი იძულებული იყვნენ გაეყალბებინათ პუშკინი.

ამ მოვლენას ბოლო მოუღო ოქტომბრის რევოლუციამ, და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შესაძლებელი შეიქნა ნამდვილი პუშკინის აღდგენა.

ლენინი ამბობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კულტურის ყველა მონაპოვარი საერთო სახალხო კუთვნილება გახდება.

საბჭოთა ხელისუფლებამ სავსებით განახორციელა ეს რუსეთის ყველა ხალხთა ძველი კულტურის მონაპოვართა გამოყენებით.

საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო სათანადო ზომები, რათა პუშკინის ნაწარმოებნი ხელმისაწვდომი გამხდარიყო ფართო მასებისათვის.

პუშკინის პოეზია მით არის საყვარელი ხალხის ფართო მასებისათვის, რომ ის გამსჭვალულია უმაღლესი ცხოველმყოფლური გრძნობებით სიყვარულით და სიხარულით.

პუშკინის პოეზია გამოხატავს რუსეთის ხალხთა სულიერ მისწრაფებებს, იმათ ინტერესებს და იმათ მოთხოვნებს განსაზღვრულ ისტორიულ ხანაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მის პოეზიას დღეს დაეკარგოს თავისი ცხოველმყოფელობა. ეს რომ ასე არ არის, ამას ამტკიცებს, თუ გნებავთ ის აღფრთოვანება, ის უდიდესი სიხარული რომლითაც საბჭოთა ქვეყნის ხალხები ხვდებიან პუშკინის გარდაცვალების ასი წლის თავს.

პუშკინი არ მომკვდარა, ის ცოცხალია, ის თითქოს თავის საფლავიდან ესალმება დღევანდელ მკითხველებს. ერთერთ მის ძეგლზე ასეთ წარწერას ვხვდებით: „გამარჯვება შენ, უცნობო ახალგაზრდობავ!" ეს არის გამოხატვა იმისა, რომ პუშკინი დღესაც, როგორც ცოცხალი, ისე დგას შთამომავლობის წინაშე, პუშკინის პოეზია ყველა ასაკისთვის ერთნაირად საყვარელია — მოხუცებისთვისაც და ახალგაზრდებისთვისაც, დიდებისთვისაც და პატარებისთვისაც, განსაკუთრებით კი ბავშვებისათვის.

პუშკინის ნაწარმოებნი დაბეჭდილია და იბეჭდება არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე, არამედ ევროპის და ამერიკის ენებზედაც.

თვით მარქსი პუშკინის შემწეობითაც ეცნობოდა რუსეთის მდგომარეობას.

აღსრულდა პოეტის წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ მას მოიხსენიებენ ყველა ხალხნი და მათ შორის ისინიც კი, ვინც მის დროს სრულიად დაჩაგრული და მიწასთან გასწორებული იყვნენ.

პოეტი თავის ლექსში „ძეგლი" წინასწარმეტყველებდა:

რუსეთს დიადსა მოედება ჩემი სახელი,
მომიხსენიებს ყველა ენა იქ არსებული,
ხლავთა ამაყი მემკვიდრე და თვით
ფინელი,
ხამი ტუნგუსი და ყალმუხი, ველთ
მოყვარული.

დიახ, პუშკინს დღეს, როგორც უკვე ვთქვით, იხსენიებს ყველა ის ხალხი რომლებიც მის დროს უკიდურეს ჩაგვრას და მონობას განიცდიდნენ და რომლებსაც თავის დედაენაზე არამც თუ ლიტერატურა არ გააჩნდათ, არამედ ანბანიც არ ჰქონდათ.

საგულისხმოა ის, რომ ზემომოყვანილ სიტყვებში პუშკინი თანასწორად იხსენიებს ამ ჩამორჩენილ და დამონებულ ხალხებს რუს ხალხთან ერთად.

ამრიგად, პუშკინს სწამდა, რომ მის დროს დაჩაგრული ხალხები, მომავალში ფეხზე დადგებიან და გაუთანასწორდებიან რუს ხალხს როგორც კულტურულად, ისე ნივთიერად და დადგება დრო, როდესაც ეს ჩამორჩენილი ხალხები პუშკინს წაიკითხავენ თავის საკუთარ ენაზე.

ამაში სჩანს პუშკინის გენიალური შორსმჭვრეტელობა.

პუშკინი ღებულობდა თემებს და სიუჟეტებს არა მარტო რუსეთის ხალხის ცხოვრებიდან, არამედ უცხო ხალხთა ცხოვრებიდანაც და მისი უდიდესი ნიჭი სჩანს იმაშიც, რომ იგი აქაც ოდნავადაც არ ღალატობდა სინამდვილის ასახვას.

პუშკინმა შეასრულა უდიდესი საქმე. როგორც დიდი კრიტიკოსი ბელინსკი ამბობდა, თანამედროვე რუსული ლიტერატურა იწყება მისგან. პუშკინმა შთაბერა სიმართლისა და თავისუფლების ჩაუქრობელი სული მომავალ პოეტებს და მწერლებს; ისეთი დიდი მწერლები, როგორიც იყვნენ ლერმონტოვი, გოგოლი, ლევ ტოლსტოი, ნეკრასოვი, გორკი და სხვები, პუშკინს სთვლიან ისეთ პოეტად, რომელმაც მათ თავის შემოქმედებით გაუნათა გზა მხატვრულ შემოქმედებაში.

პუშკინის ჩანგი მუდამ მღეროდა ჩაგრულთათვის, მას მთელი თავისი არსებით სძაგდა და ეზიზღებოდა არისტოკრატიული რუსეთი, მას სძაგდა წარჩინებული მუქთახორები — ერთდაიმავე დროს უნიჭონი და სასტიკნი.

ასეთ პოეტს ხალხი ვერ დაივიწყებს. ამას გრძნობდა თვით პოეტიც, იგი ამბობდა თავის თავზე:

დიდხანს ვიქნები საყვარელი მე
ხალხისათვის,
რადგან ხალხს ჩანგით კეთილს გრძნობას
მე ვუღვიძებდი.
მკაცრ, უჟამურ დროს ვადიდებდი
თავისუფლებას,
დავრდომილთ მიმართ ღრმა სიბრალულს
ვუქადაგებდი.

პოეტი აქ სრულ სიმართლეს ამბობს, რომ მან თავის სასტიკ საუკუნეში თავისუფლება ადიდა. ამით მან გადალახა თავისი საუკუნე და მომავალ საუკუნეებშიაც შეიჭრა როგორც უდიდესი პოეტი, მქადაგებელი ხალხთა თავისუფლებისა.

●

პუშკინი არ ეკუთვნის ერთ რომელიმე განსაზღვრულ ხალხს, მისი შემოქმედება ყველა ხალხის საკუთრებაა, განურჩევლად ეროვნებისა და რასისა.

არცერთი მწერალი, არცერთი პოეტი არ ახასიათებს თავის ეპოქას — თავის საუკუნეს ისე მრავალმხრივად, ისე რეალისტურად როგორც პუშკინი.

მისი გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ პუშკინს არა თუ არ დაუკარგავს თავისი დიდების, თავისი უკვდავების რაიმე ნიშანი, არამედ დღეს იგი საბჭოთა ქვეყნის წინაშე, განთავისუფლებულ ხალხთა წინაშე, დგას მთელი თავისი სიდიადით და მთელი თავისი უნივერსალური გენიოსობით.

და ეს ფაქტი იმავე დროს ლაღადებს საბჭოთა ხელისუფლების სიდიადეზე, რომელმაც აღადგინა პუშკინი და მისი უკვდავი ქმნილებანი სრული სახით მიაწოდა ხალხის ფართო მასებს, როგორც საუკეთესო განძი ხელოვნებისა.

ესევე შეიძლება ითქვას ქართული ლიტერატურის უშესანიშნავეს ნაწარმოებზე „ვეფხის - ტყაოსანზე", რომელიც დაწერილია გენიალური და უკვდავი პოეტის — შოთა რუსთაველის მიერ მე-12 საუკუნის ბოლოს, და რომელსაც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ეღირსა სათანადო დაფასება, რაც, სხვათა შორის, იმაშიაც გამოიხატება, რომ „ვეფხის-ტყაოსნის" ავტორს საბჭოთა ხელისუფლება უხდის 750 წლის იუბილეს მისი დაბადებიდან.

როგორც ვიცით, პუშკინი მის სიცოცხლეშივე გაიცნო ქართველმა საზოგადოებამ; მისი ლექსები ქართულ ენაზე პუშკინის დროსვე ითარგმნებოდა და იბეჭდებოდა და, რაც უმთავრესია, უდიდესმა პოეტმა პირადად ინახულა საქართველო და ქართველი ხალხი. პუშკინი პირველი რუსი მწერალი პოეტია, რომელმაც უძლიერესი გავლენა მოახდინა ქართულ პოეზიაზე და საერთოდ მთელ ქართულ მწერლობაზე. ასე რომ რუსი ხალხის ნამდვილი კულტურული გავლენა ქართულ ხალხზე მხოლოდ პუშკინიდან იწყება.

დღეს საბჭოთა ქვეყნებში ჩვენ ვხედავთ კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების უდიდეს აღორძინებას, ჯერ არნახულ აყვავებას.

დღეს ჩვენში მწერლებს, პოეტებს და მეცნიერებს შექმნილი აქვთ ყოველგვარი პირობები თავისი შემოქმედების თავისუფალი გაშლისა და განვითარებისათვის.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში კი ჩვენ სრულიად საწინააღმდეგო მოვლენას ვხედავთ, შემოქმედების თავისუფალ განვითარებას იქ გზა შეკრული აქვს.

მაშინ როცა ჩვენში მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ყველა დარგში უდიდესი აღმავლობაა, იქ, ბურჟუაზიულ ქვეყნებში, ამ მხრივ დაქვეითებას, დაკნინებას, დაცემას და დაშლას ვხედავთ.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თვით ბურჟუაზიული მწერლებიც, მეცნიერებიც და საერთოდ პროგრესიული ინტელიგენცია შემონატრიან საბჭოთა კავშირს, სადაც ისინი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის საუკეთესო პირობებს ხედავენ.

ხოლო რაც შეეხება ფაშისტურ ქვეყნებს: გერმანიას, იტალიას, იქ ყოველივე გამოვლინება შემოქმედებითი მუშაობისა საბოლოოდ ჩამკვდარია.

ფაშიზმი მტერია არა მარტო ხალხთა თავისუფლებისა, არამედ ყოველივე შემოქმედებისა და წინსვლისა კულტურის და ხელოვნების საქმეში.

გერმანიის ფაშიზმი, რომელმაც შეჰქმნა ბარბაროსული რასიული თეორია, არა თუ სდევნის თავის მოწინააღმდეგე პოლიტიკურ პარტიებს, არამედ სდევნის პირველხარისხოვან მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერებს, მხატვრებს და მწერლებს, რომლებიც იძულებული არიან დასტოვონ ლესინგის და გოეტეს, მარქსის და ენგელსის სამშობლო და სხვაგან ეძებონ თავშესაფარი.

ამგვარად, აქ, ჩვენში, გაუგონარი წინსვლა, შემოქმედება, ახალი ბედნიერი ცხოვრებისა უზრუნველყოფა, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის აყვავება, იქ კი, ბურჟუაზიულ ქვეყნებში, უკან სვლა, დაკნინება და დაცემა; ბურჟუაზიულ ქვეყნებში მოსპობილია წინსვლის ყოველგვარი პერსპექტივა. ამას მშვენივრად გრძნობს თვით იქაური ბურჟუაზიული ინტელიგენცია.

ის უდიდესი შემოქმედებითი გაქანება, ის უდიდესი ენტუზიაზმი, რომელიც ახასიათებს საბჭოთა კავშირის ხალხებს მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა დარგში, შედეგია ლენინისა და სტალინის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებისა. ყოველივე ეს შედეგია სოციალიზმის გამარჯვებისა ჩვენს ქვეყანაში.

პუშკინის გარდაცვალებიდან ასი წლის შესრულების აღნიშვნა არის საბჭოთა გამარჯვებულ და განთავისუფლებულ ხალხთა უდიდესი ზეიმი, ეს არის საბჭოთა კულტურის ნამდვილი ზეიმი, ეს არის ნამდვილი ზეიმი, ხალხთა სტალინური მეგობრობისა.

გამოფენისათვის სუსტად ემზადებიან

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადება მთელ რიგ რაიონებში ისევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ბრძოლა საუკეთესო ექსპონენტებისა და ექსპონატების შესარჩევად, დახმარება, სამაგალითო მოვლა, ახალი მიღწევებისათვის ზრუნვა ბევრგან ჯერ კიდევ ან სრულიად არ სწარმოებს ან, თუ სწარმოებს, ხშირად ძალიან სუსტად.

ჯუღელის რაიონის კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში და შემოდგომაზე შეარჩიეს 40 ძირი ვაზი და რამდენიმე ძირი თუთა, მოათავსეს ისინი საჭირო პირობებში და... მთელი მუშაობაც თითქმის ამით დამთავრდა.

— ჩვენს რაიონში სხვა ობიექტები გამოფენის მოთხოვნილებებს ვერ დააკმაყოფილებენ, მიწსახკომმაც 40 ძირი ვაზის გაგზავნა დაგვიწესა, რაც შესრულებულია, — აცხადებენ რაიმიწგანის ხელმძღვანელი ამხანაგები (პირველაშვილი, არაბიძე).

ირკვევა, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებს არც კი გაუგიათ რამე გამოფენის მნიშვნელობისა და ექსპონატების შერჩევის შესახებ. ამ მხრივ მათთვის არც რაიმე ვალდებულებაზე მიუთითებია ვინმეს.

ქვემო-საქარის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე სიმონ ჩიხლაძე, აგრონომი მგელაძე) გაკვირვებას გამოსთქვამენ, რომ მათ გამოფენასთან დაკავშირებით რაიონიდან თითქმის ერთი სიტყვაც არ გაუგონიათ—სხვაგან შეარჩიეს ვენახები, თუმცა ჩვენ სხვებზე ნაკლებად არ შეგვეძლო და შეგვიძლია კარგი მუშაობის ნიმუშების ჩვენებაო, საყვედურის კილოთი აცხადებენ აქ. რაც შეეხება სოციალისტურ შეჯიბრებას, გამოფენის კანდიდატის უფლების მოსაპოვებლად ახალი საუკეთესო მაჩვენებლებისათვის ბრძოლას, ცხადია, აქ ეს მუშაობაც დაივიწყეს.

მსგავსი მდგომარეობაა პირველი სვირის კახიანის სახელობის (თავმჯდომარე ა. ჩიტორელიძე, აგრ. ბაგრატ ჯუღელი), მეორე სვირის სიმონ ჯუღელის სახელობის (თავმჯდომარე სევა ჯუღელი, აგრ. მ. ბოჭოიძე) მეორე სვირის „წითელ სხივში" (თავმჯდომარე იპოლიტე ხიდაშელი, აგრ. ბოჭოიძე) და სხვ. კოლმეურნეობებში. ერთი სიტყვით, საუკეთესო ვაზი, იშვიათი უმაღლესი ხარისხის სუფრის ღვინოები, სოფლის მეურნეობის სხვა იშვიათი მაჩვენებლები, აგრეთვე მინდვრის გამორჩენილი სტახანოველები რაიონში საკმაოდ ბევრია. მათი გამოვლინება, სოციალისტური შეჯიბრების გაშლა, რომ გამოფენამდე (ივლისი) კიდევ უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიონ, როგორც ვთქვით, რაიონში არ ჩანს.

ასეთივე მდგომარეობაა აბაშის რაიონშიაც. ადგილზე მუშაობის სუსტად გაშლის შედეგად მთელ რაიონში შერჩეულია მხოლოდ ორი ძროხა მარნისა და ნორიოს სოფლის საბჭოებში და ისიც ისეთები, რომლებიც დაწესებული 1.800-7.000 ლიტრის ნაცვლად წელიწადში მხოლოდ 250-350 ლიტრა რძეს იძლევიან.

აქვე, მარნისა და ნაესაკოვოს სოფლის საბჭოებში შეარჩიეს ისეთი ღორები, რომლებიც თვითეულ მოგებაზე 7-10 გოჭს იძლევიან.

რაიონში შერჩეულია აგრეთვე არახისი, რომელმაც ჰექტარზე დაწესებული 14-18 ცენტნერის ნაცვლად მხოლოდ 10 ცენტნერი მოსავალი მოგვცა.

ასეთი შერჩევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამართლებულ იქნას, ეს ეწინააღმდეგება გამოფენისათვის მოცემულ მითითებებს, ძირითად მაჩვენებლებს. სოფლის მეურნეობის ისეთი დარგებიდან კი, როგორიცაა მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, მემინდვრეობა და სხვ. გამოფენისათვის საუკეთესოდ მომზადების მიზნით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრების გასაშლელად ჯერ აქაც ძალიან ცოტაა გაკეთებული.

თვითეული რაიონის, ყველა პასუხისმგებელი მუშაკის მოვალეობაა ახლავე შეამოწმოს თავისი საქმიანობა იმ მიზნით, თუ რა და როგორ გააკეთა მან საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის, გამოიყენოს მთელი შესაძლებლობა, მთელი ძალები იმგვარად, რომ თვითეული კოლმეურნეობა, ყოველი უბანი, ყველა მუშაკი გამოფენას შეხვდეს ახალი წარმატებებით, ბევრად უკეთესი მაჩვენებლებით, ვიდრე აქამდე ჰქონდა და აქვს.

ტრ. თოდრაძე.

◇ ◇ ◇

რა გზით წავიდეთ ხრამჰესმშენში?

(წინადადების წესით)

ცნობილია, რომ წალკის რაიონში, სოფ. ბარბაქსიზსა და როზენბერგს შორის მდინარე ხრამზე შენდება უდიდესი ჰიდრო-ელექტრო სადგური, — 130 ათას ცხენისძალოვანი ხრამჰესი.

დიდ სპეციფიკურ პირობებში შენდება იგი. სადგურის მშენებლობა თბილისს დაშორებულია 120 კილომეტრით და თვით სადგურის თავისებური სახე განსხვავდება დღემდე აშენებულ ჰესებისაგან.

მშენებლობას ყავს 75-მდე სატვირთო მანქანა, მალე დამატებით მიიღებენ 25 მანქანას. მსუბუქი ავტომანქანების ჩათვლით სულ თბილისსა და სადგურის მშენებლობას შორის იქნება 115-მდე მანქანა, აქედან ყოველდღე მშენებლობის საქმეებზე გზაშია 20-25. ეს დროებითი მოვლენაა, რადგან შინების უვარგისობის გამო მანქანების დიდი უმრავლესობა არ მუშაობს, მაგრამ ეს დიდხანს არ გასტანს. მალე ყველა ავტომანქანა ამუშავდება.

1937 წლიდან ყველა ფრონტზე ფართოვდება მუშაობა. დაიწყება საგენერატორო სადგურის მშენებლობა, რომლისთვის საჭირო მოწყობილობა უკვე შეკვეთილია და მზადდება, გაფართოვდება კამხალის სამუშაოები, კიდევ უფრო გაძლიერდება მუშაობა გვირაბებში, შახტებში, სანგრევებში, ასე, რომ ამ გაცხოველებული მუშაობის დროს საშენი და სხვა მასალების, აგრეთვე სადგურის სხვადასხვა მოწყობილობათა საზიდავად ყოველდღე საჭიროა, სულ მცირე, 100 მანქანის სისტემატური მუშაობა. ეს მანქანები არის, ყოველ შემთხვევაში იქნება. მაგრამ თავი და თავია რით, რომელი გზით წავიდნენ ისინი ხრამჰესმშენში?

ეს საკითხი მეტად მწვავე და უაღრესად აქტუალურია.

რაშია საქმე, რატომ ასე მწვავედ ისმის თბილის-წალკის გზის საკითხი? საქმე ისაა, რომ ეს გზა ახლა მხოლოდ სანახევროდ თუ აკმაყოფილებს მშენებლობის მოთხოვნილებებს. ვიწროა, უხეიროდაა მოხრეშილი, ბლომად აქვს ოღროჩოღრო ადგილები, მიხვეულ - მოხვეულია, ხიდბოგირები შეუკეთებელია. ყველაფერი ეს უარყოფითად მოქმედებს მშენებლობაზე. ზოგიერთნი ამბობენ, თბილისსა და მანგლისს შორის კარგი გზააო. ეს არ არის მართალი ეს ნაწილიც სანახევროდ მოუხრეშავია და ვიწრო. ახლახან ვიღაცას რამდენიმე კილომეტრზე დაუყრია წვეტიანი ქვები, რომლებიც მანქანებს ისე გაუფანტავს, რომ მთელ შრომას უნაყოფოდ ჩაუვლია, გზას კი შეკეთება ოდნავაც არ ეტყობა. ყველაფერი ეს დიდ ზიანს აყენებს მშენებლობას. თვეში 2-3 მანქანა გადაიჩეხება ხოლმე თვალუწვდენ ხევში, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ შოფერები წესიერად არ მართავენ მანქანას, ზოგჯერ ესეცაა, მაგრამ უმთავრესად ეს გზის უვარგისობით არის გამოწვეული.

საცაა დაიწყება ტურბინების, გენერატორების, ტრანსფორმატორების მასობრივად მიტანა მშენებლობაზე. ზოგი მათგანი 40-65-ს და ზოგიც 70 ტონას იწონის, განა შეიძლება ასეთი რთული და მძიმე კონსტრუქციის მოწყობილობის გატანისას ვენდოთ იმ დანგრეულ ხიდ-ბოგირებს, რომლებიც მხოლოდ 10-15 ტონა ტვირთისათვისაა ნავარაუდევი? არავითარ შემთხვევაში!

შეიძლება კი ამ ტვირთების ტარება ასეთ გზაზე? არა. ზოგიერთი მოწყობილობა იმდენად დიდი და გრძელია, რომ იგი მთლად დაიკავებს გზას.

მოკლედ ამ გზას ვერ ვენდობით.

როგორ მოვიქცეთ ასეთ პირობებში, რა გზით ჩავიდეთ ხრამჰესის მშენებლობაზე, რა არის ამისათვის საჭირო?

საჭიროა გზის გაფართოვება, მართალია არა ყველგან, მაგრამ ბევრ ადგილას აუცილებლად, საჭიროა ახალი ხიდ-ბოგირების აშენება.

ახლა ამ გზაზე მუშაობა არ სწარმოებს. გზის მშენებლობის დაგვიანება კი სადგურის მშენებლობას გააჭიანურებს. საჭიროა ამ საქმეს რესპუბლიკურმა ორგანიზაციებმა ამთავითვე მოჰკიდონ ხელი და ჩქარის ტემპით დაამთავრონ იგი.

ვალ. ქვათანელი.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს და სადგურის სტახანოვური ბრიგადა, რომელიც დღეში, ნაცვლად 125-ისა, ასწრებს 170 ვაგონის გადამუშავებას.
ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ნავთლუღის ფეხსაცმლის ფაბრიკა წლიურად მოგვცემს 6.500.000 წყვილ ფეხსაცმელს.
სურათზე: ფაბრიკის ახალგაზრდა ინჟინერი თამარ პერიხანიანი სინჯავს ფეხსაცმლის ზედაპირს.
ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ანო შიუკაშვილი

პუშკინს

რა დააქრობს მზის სხივების თვალისმომჭრელ ელვარებას,
რა დააცხრობს მგზნებარ გულის აშხეფებულ მღელვარებას,
რა დაჩრდილავს ბავშვის გულთან დედის წრფელ და ლამაზ ალერსს,
რა დააჭკნობს სიჭაბუკის სიხარულის ცრემლში ნალესს,
ან რას ძალუძს შეაჩეროს აზვირთებულ ტალღის სრბოლა,
მზის ციგლიგი ყვავილებზე და გრიგალის მძაფრი ქროლა!
ან რა მოჰკლავს უკვდავებას, უკვდავებას დიდს და მაღალს,
ვერაფერი შეაჩერებს გულს, მიზნისკენ მედგრად მავალს!
და პუშკინიც ხომ მზე იყო ბრწყინვალებით ამოსული,
რუსის ხალხის დიდი ტვინი, რუსის ხალხის დიდი სული!
და დღეს, როცა სხივ-კაშკაშა და ნათელი დარი დადგა,
პუშკინი, ხომ ბრწყინვალებით და მშვენებით მკვდრეთით აღსდგა
დღეს მზე მოსავს მის მაღალ შუბლს, მის სპეტაკ და ტანჯულს სახეს,
და ჩვენც კრძალვით თაყვანსა ვცემთ მის დიად და უკვდავ სახელს!

ვითომ ესეც ხელმძღვანელობაა

ახალდაბის (ბორჯომის რაიონი) სასოფლო საბჭოში 10-მდე სექციაა ჩამოყალიბებული, მაგრამ არცერთი მათგანი არ მუშაობს. თავმჯდომარე ამხ. ბ. ლომუაშვილი და საბჭოს აპარატი მათ არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევენ.

სექციების ხელმძღვანელთა შერჩევას ყურადღება არ ექცევა. ხელმძღვანელებად გამოყოფილი არიან დაუინტერესებელი პირები. მაგალითად, სავაჭრო - კოოპერატიული სექციის ხელმძღვანელმა ნ. ჭველაძემ არ იცის, რა უნდა აკეთოს, თავის უფლება-მოვალეობაში ვერ ერკვევა, ამ სექციის სხდომა 1936 წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ მოიწვიეს. არ მოიპოვება ოქმები, შემუშავებული არ არის პრაქტიკული ღონისძიებანი. სექციების საქმეები არეულია.

მემინდვრეობის სექციის მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის გადიდების საქმეში, მაგრამ ახალდაბის სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელებს ეს არ ესმით. ამ სექციას მთელი წლების განმავლობაში ხელმძღვანელი არ ჰყავდა და, ცხადია, მოსავლიანობის გადიდებისათვის დღემდე არაფერი გაუკეთებია.

არც საგზაო მშენებლობისა და თავდაცვის სექციებს გაუკეთებიათ რამე, მთელი წელი უძრავად იყვნენ. ამ სექციების ხელმძღვანელები მ. სარალიძე და გ. ცერცვაძე არ იწვევენ კრებებს, მოწყვეტილი არიან მასებს, ცოცხალ საქმიანობას.

კულტსექციაც (ხელმძღვანელი შ. ჯოხაძე) ვერ მუშაობს დამაკმაყოფილებლად. კულტმასობრივი მუშაობის დარგში მან სულ ცოტა რამ გააკეთა.

სასოფლო საბჭო სრულებით არ ამოწმებს სექციების ხელმძღვანელთა მუშაობას, არ ისმენს მათს მოხსენებას და არ აძლევს საჭირო მითითებებს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ბორჯომის რაიაღმასკომმა სათანადო ზომები უნდა მიიღოს ახალდაბის სასოფლო საბჭოსთან არსებული სექციების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

გრ. ლომიძე.

◇ ◇ ◇

ზემო-მლეთის შეძლებული კოლმეურნენი

ღარიბმა და საშუალო გლეხობამ აქ კოლმეურნეობის დაარსება რომ გადასწყვიტა, კულაკები და მათი აგენტები ცოფმორეული გაიძახოდნენ:

— კოლექტივში ნუ შეხვალთ, თორემ დაიღუპებითო.

კლასობრივი მტრის პროვოკაციას სოფლის მშრომელებმა თავიანთი რიგების შემჭიდროვებით უპასუხეს. კოლმეურნეობაში 53 კომლი გაერთიანდა.

პირველად აქ დიდ შეცდომებს ჰქონდა ადგილი. განასაზოგადოვეს მთელი პირუტყვი, რაც კოლმეურნეებს გააჩნდათ. განასაზოგადოვეს ძროხაც და ცოცხალი გამწევი ძალაც. ეს მაშინ, როცა ხვნა-თესვა ზემო-მლეთაში მხოლოდ დამხმარე ხასიათს ატარებდა.

აღნიშნული ნაკლი ზემო-მლეთის კოლმეურნეობამ მალე გამოასწორა, მაგრამ მარტო ეს საკმარისი არ იყო. კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელი იყო შრომა. მწყემსებს ნამუშევრის გაუთვალისწინებლად დღეში თითო შრომადღე ეწერებოდათ. გარდა ამისა, მათ კოლმეურნეობის ხარჯზე უფასოდ ეძლეოდათ ტანსაცმელი და საკვები. შრომადღეების გაუთვალისწინებლად აძლევდნენ მატყლსა და რძის პროდუქტებს. კოლმეურნეობას ჰყავდა განთავისუფლებული თავმჯდომარე, ფერმის უფროსი, საწყობის გამგე და მოანგარიშე. ადმინისტრატიული ხარჯების გაბერვა და შრომის მოუწესრიგებლობა ძალიან ამცირებდა კოლმეურნეობის შემოსავალს, შრომადღეებზე გასანაწილებელი ფულისა და პროდუქტების რაოდენობას.

ამხ. ლ. ბერიას მითითებათა რეალიზაციით კოლმეურნეობამ შესძლო ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება და მოკლე ხანში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. ვადამდე და ხარისხოვნად შეასრულა დამზადებათა სახელმწიფო გეგმები, ყოველი დაგრილებული დედაცხვარიდან მიიღეს და შეინარჩუნეს თითო ბატკანი.

კოლმეურნეობას ამჟამად 2.739 ცხვარი ჰყავს. ამათგან 600 დედაცხვარი საბჭოთა მეურნეობიდან გადაეცათ. ყველა კოლმეურნეს ჰყავს ცხვარი პირად სარგებლობაში. 53 კომლიდან უძროხოდ ახლა მხოლოდ ვახო ბუთხუზია დარჩენილი.

1935 წელს ამ კოლმეურნეობაში ფულადი შემოსავლიდან ერთი კაპიკიც არ განაწილებულა. ახლა კი 13.440 მანეთს ანაწილებენ — შრომადღეზე 2 მანეთს. შრომადღეზე გასანაწილებელი ყველის რაოდენობა გადიდდა 33 პროცენტით, მატყლისა 44-ით, ერბოსი 74-ით. შრომადღეზე წელს პირველად განაწილდა აგრეთვე ხორცი (ცოცხალი პირუტყვის სახით).

მრავალი კოლმეურნე, წინათ, მოჯამაგირეობაში რომ ატარებდა ცხოვრებას, პატიოსანი საკოლმეურნეო შრომით შეძლებული გახდა. უფროსმა მწყემსმა მიხა ნაზღაიძემ 1936 წელს 360 შრომადღე გამოიმუშავა და მიიღო კოლმეურნეობიდან ყველი 124 კილოგრამი, მატყლი —108, ხორცი — 174, ერბო — 12,7 და ფულად 720 მანეთი. ეს პროდუქტები დამზადების მტკიცე სახელმწიფო ფასებზე რომ გადავიყვანოთ, შრომადღის ანაზღაურება ფულადი გამოხატულებით 15 მანეთს აღემატება. ნაზღაიძეს საკოლმეურნეო შემოსავალთან ერთად პირადი მეურნეობაც აქვს. ჰყავს 78 სული ცხვარი, 3 ძროხა და 2 დედა-ღორი ნამატით. 1936 წელს მოიყვანა 90 ფუთი ქერი და 80 ფუთი კარტოფილი. ნაზღაიძე ახლა შეძლებულად ცხოვრობს, გარდამეტ პროდუქტებს საკოლმეურნეო ბაზარზე ჰყიდის და ემზადება მომავალ გაზაფხულზე ახალი ოდა აიშენოს.

ასევე შეძლებულად ცხოვრობენ კოლმეურნენი ალექსი და სიმონ ბუთხუზები, ვანო გაგაძე, ნიკო და პავლე ნაზღაიძეები და სხვ. შალიკო და მურა ნაზღაიძეებმა წელს ქ. ორჯონიკიძეში შეიძინეს შიფონერები და რკინის საწოლები.

ზემო-მლეთის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა კომკავშირელი ხოლტექნიკოსი ამხ. ვიქტორ თოხაძე, რომელიც ხელმძღვანელობის საუკეთესო უნარს იჩენს.

ტ. აცანელი

დუშეთის რაიონი

ჩვენ გვწერენ

ნოქარი არ დარდობს

კოდისწყაროს (კასპის რაიონი) სამომხმარებლო კოოპერატივში პირველი მოთხოვნილების საგნებს ვერ ვშოვით. დიდი ხანია ნავთი არ მოუტანიათ, არც ლამპის შუშები. ნოქარი მიშა ლვინაძე ამბობს: ურემი ვერ ვიშოვნე საქონლის გადმოსატანად და თუ რამე გჭირდებათ, სხვა კოოპერატივში იყიდეთო. ასე „იმართლებს“ თავს ნოქარი.

კოოპერატივი ხშირად სულ დაკეტილია. 10, 11 და 12 დეკემბერს ნოქარი ქორწილში წასულიყო და კოოპერატივს ბოქლომი ედო. საბჭოთა ნოქარს ეს არ შეშვენის.

ალ. შარვაძე.

რიგიანად მოაწყოთ სადგური მერია

სიტყვა „სადგური“ პირობითად უნდა ვიხმაროთ იმ ერთი ვაგონის აღსანიშნავად, რომელიც მერიაში (ნატანებსა და მახარაძეს შორის) დგას.

13 წლის წინათ, როცა პირველად დადგეს აქ ეს ვაგონი, მას მართლაც შეეძლო გაეწია სადგურის შენობის მაგიერობა. ახლა კი მერიიდან მრავალი მგზავრი გადის ორივე მიმართულებით (მერიის ახლოსაა ლაითურის ამხ. კიროვის სახ. ჩაის დიდი საბჭოთა მეურნეობა). „ვაგონსადგურში“ ოციოდე კაცი ეტევა, დანარჩენები ცის ქვეშ უნდა ელოდონ მატარებელს. სხვათაშორის, ვაგონი დაძველებულია შიგ ყოფნა სახიფათოა, მაგრამ სადგურის გულადი მუშაკები ამხნევებენ მგზავრებს: სადაც ჩვენ, იქაც თქვენო. უნდა ითქვას, რომ ეს ვერაფერი ნუგეშია. გაცილებით უმჯობესი იქნება, რომ ეს მუშაკები სადგურის შენობის აგების საკითხს დააყენებდნენ.

ი. გოგრონიძე.

მოგვაშორეთ ხულიგანი

მექოთნეთა შესახვევში (თბილისი) მდებარე № 6 სახლში ცხოვრობს გაუსწორებელი ხულიგანი ალია ხუდოევი. მან ცემით დასახიჩრა ცოლი, რამდენჯერმე ხანჯლითაც დასჭრა. მეზობლებმა მრავალჯერ ვუჩივლეთ, რადგან თავი მოგვაბეზრა მისმა ლოთობამ, ხულიგნობამ. ჩვენს ბავშვებს მისი შიშით ეზოში ვერ გაუვლიათ. სასამართლომ რამდენჯერმე აპატია ხულიგნობა. 27 დეკემბერს კი მას ექვსი თვის იძულებითი მუშაობა მიუსაჯეს. მიუხედავად ამისა, იგი ახლაც თავისუფლადაა სახლში და უარესად ამხედრდა ყველა ჩვენს წინააღმდეგ. პირველ იანვარს დანით ხელში კიდევ მიუვარდა ჩვენს მეზობელს, მუშა არაქელ დავიდოვს და მთელს ოჯახს ამოხოცვას უპირებდა.

საჭიროა ამ ხულიგნის ალაგმვა.

დ. გორთამაშვილი.

ბარგი დამიკარგეს

გასული წლის 18 ნოემბერს ბაკურიანიდან ლანჩხუთში მატარებლით გავაგზავნე ბარგი, სულ 6 ადგილი (ქვითარი № 315315). მეც იმავე მატარებლით მივდიოდი. ჩემი თვალით ვნახე, რომ ხაშურში გადმოტვირთეს ჩემი ბარგი ბორჯომის მატარებლიდან, მაგრამ მორიგე მწონავმა ნესტორ კვიტაიამ ვერ მოასწრო მისი ლანჩხუთში იმავე ღამეს გაგზავნა. გავემგზავრე და მეორე დღეს სადგ. ლანჩხუთში ველოდი ჩემს ბარგს. მატარებელმა ჩემი ბარგიდან მხოლოდ ხუთი თავი ჩამოიტანა, მეექვსედ ვიღაცის პატარა კალათი შემომთავაზეს. მე ჩემი ნივთი მოვითხოვე (კალათა იყო, რომელშიაც ტანსაცმელი და სხვა საოჯახო საგნები ელაგა), მაგრამ არაფერი გამოვიდა. ხაშურში წავედი. აქ გამოირკვა, რომ მწონავ კვიტაიას ჩემი ბარგი მეორე მწონავისთვის, კილურაძისთვის, გადაუბარებია. ეს უკანასკნელი კი უარობს: არაფერიც არ მიმიღიაო. ეს ამბავი სადგურთან არსებულ წესრიგის დამცველ რაზმს ვაცნობე, მაგრამ ჩემი საქმით არ დაინტერესდნენ. დაკარგული კალათა ჯერაც არ მიმიღია.

მგზავრისადმი ასეთი დამოკიდებულება შეუწყნარებელია.

დ. კერესელიძე.

◆

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ქალაქის პირველ საავადმყოფოში“

„კომუნისტის“ 5 იანვრის ნომერში დაიბეჭდა ამხ. შ. ხობელის წერილი სათაურით: „ქალაქის პირველ საავადმყოფოში“.

საავადმყოფოს დირექტორის მოადგილე ამხ. გუკასოვი გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად საავადმყოფოს დირექციამ მიიღო შემდეგი ღონისძიებანი: საინფექციო განყოფილებას მიეცა 130 ცალი საბანი, 40 წყვილი ფეხსაცმელი, 20 ცალი ხალათი, მეორე ბარაკიდან გადაიყვანეს მუცლის ტიფითა და წითელი ქარით დაავადებულნი. შეაკეთეს წყლის ასადუღებელი ქვაბი და გაფუჭებული ონკანები, ჩასვეს მინები. დირექცია ყოველგვარ ზომას ღებულობს მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

○

„გამფლანგველი ნოქარი“

რედაქციაში ამ სათაურით შემოსული წერილის ავტორი ჩხარის რაიონიდან გვაცნობებდა, სოფ. სქთარვის კოოპერატივის ნოქარი სერგო ბარბაქაძე ანიავებს კოოპერატიულ ქონებასო.

ეს წერილი რედაქციამ გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ჩხარის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს, რომელიც გვატყობინებს: ნოქარი სერგო ბარბაქაძე გაფლანგვისათვის მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში.

„მტაცებლები“

ჩვენი სოფლკორი ტყიბულის რაიონიდან გვწერდა: სოფ. შუქრუთის კოლმეურნეობა „სინათლის“ გამგეობის წევრები: სამსონ სევერიანის-ძე ლოსაბერიძე, კონსტანტინე ტარიელის-ძე ბუხაიძე და ვლასი ბაგრატის-ძე ბუხაიძე საკოლმეურნეო დოვლათს იტაცებენო.

ტყიბულის რაიპროკურორი ამხ. ყიფიანი, რომელსაც ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა, გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტი დადასტურდა, ს. ს. ლოსაბერიძე, ვ. ბ. ბუხაიძე და კ. ტ. ბუხაიძე მიცემულნი არიან პასუხისგებაში და მათი საქმე საბრალმდებლო დასკვნით გადაეცა ტყიბულის რაიონის სახ. სასამართლოს.

○

„აღმაშფოთებელი ამბავი“

ამ სათაურით „კომუნისტის“ გასული წლის 9 ოქტომბრის ნომერში მოთავსებული იყო წერილი, რომლის ავტორი სწერდა რომ, გეგეჭკორის რაიონში მცხოვრებს, სამოქალაქო ომის ინვალიდს ამხ. ანტონ კირტავას სოცუზრუნველყოფის ორგანოები ყურადღებას არ აქცევენ, მიუხედავად მრავალი თხოვნისა მას პენსია არ გაუდიდეს, სოცუზრუნველყოფის რაიინსპექტორმა ამხ. ა. კიტეიშვილმა მისი განცხადება უშედეგოთ დასტოვაო.

როგორც საქ. სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარი ამხ. ვ. ვაშაკიძე გვაცნობებს, ამ საქმეში ამხ. კიტეიშვილს პირადად არ მიუძღვის ბრალი.



კალინინის სახელობის ქარხანა (თბილისი) მთელი საბჭოთა კავშირისათვის ამზადებს მარმარილოს საჭრელ გიგანტურ დაზგებს. უკვე გამოშვებულია რამდენიმე ათეული დაზგა, რომლებიც მუშაობენ საბჭოთა კავშირის უდიდეს მშენებლობებზე (საბჭოების სასახლე მოსკოვში, ვოლგა-მოსკოვის არხი და სხვ.). **სურათზე:** მარმარილოს მჭრელი დაზგის მონტაჟი.

ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

სკოლის დირექტორისა და გამგის შვებულება

სკოლის დირექტორისა და გამგის შვებულების საკითხი დღემდე მოუწესრიგებელი იყო. ისინი საზაფხულო არდადეგების პერიოდში მორიგი შვებულებით არ სარგებლობდნენ და სასწავლო წლის განმავლობაში უნდა მისცემოდათ იგი. მაგრამ ბევრ რაიონში (ქიათურა, თიანეთი, გორი, ორჯონიკიძე, კასპი) შვებულებას სრულიად არ იყენებდნენ და სანაცვლოდ ფულადს კომპენსაციას მოითხოვდნენ.

განსახკომის დადგენილებით სკოლის დირექტორებს და გამგეებს მორიგი შვებულება უნდა მიეცეთ ზაფხულის თვეების განმავლობაში იმ დროს, როცა სკოლა არ მუშაობს და სკოლის მთლიანი კოლექტივი ისვენებს.

თუ სკოლის ინტერესები მთელი ზაფხულის განმავლობაში ადმინისტრაციული პერსონალის სკოლაში დარჩენას მოითხოვს, განათლების განყოფილების გამგე ვალდებულია სკოლის დირექტორისა და მისი მოადგილის მორიგი შვებულება იმ ვარაუდით განაწილოს, რომ თვითეულ მათგანს მორიგი შვებულება ზაფხულის განმავლობაში ერთი თვით მაინც მიეცეს.

განათლების განყოფილების გამგემ სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა შეადგინოს მტკიცე განრიგი, თუ რომელი სკოლის დირექტორს, გამგეს ან მათს მოადგილეს როდის მიეცეს მორიგი შვებულება.

მიმდინარე სასწავლო წლიდან სასტიკად აკრძალულია ადმინისტრაციულ პირთათვის მორიგი შვებულების ნაცვლად ფულადი კომპენსაციის მიცემა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. როცა კომპენსაციის გაცემა აუცილებელია, ეს უნდა მოხდეს საკონფლიქტო კომისიის დადგენილებით და რაიგანსახკომის ან რაისაბჭოს თავმჯდომარის სანქციით.

სკოლის დირექტორებს და გამგეებს 1935-36 სასწავლო წელს გამოუყენებელი შვებულება მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა მიეცეთ. თუ სხვადასხვა საპატიო მიზეზის გამო ეს მოუხერხებელია, მაშინ მიეცემათ ფულადი კომპენსაცია.

◆ ◆ ◆

ხელოვნური სიცივე საპროდუქტო მაღაზიებში

„სოიუზპროდმაგის“ საქართველოს კანტორამ შეიძინა და ნაწილობრივ უკვე მიიღო ახალი დანადგარები საპროდუქტო მაღაზიებში ხელოვნური სიცივის შესაქმნელად. ორი ასეთი დანადგარი უკვე დადგმულია „ბაკალეის“ მაღაზიაში № 1 და „გასტრონომის“ მეექვსე მაღაზიაში. ეს დანადგარები წარმოადგენენ დიდ ემალირებულ განჯინებს. თვითეული მათგანი ტონანახევარ პროდუქტებს იტევს. ეს დანადგარები იკვებებიან ელექტროდენით განათების ქსელიდან და აქედან ჰქმნიან სიცივეს პლიუს 1 გრადუსიდან მინუს 3 გრადუსამდე.

ახლო ხანში მოელიან 5 პატარა კამერას, რომლებიც, გარდა იმისა, რომ გამოიმუშავებენ ხელოვნურ სიცივეს, დღეღამეში გამოუშვებენ 10 კილოგრამ ყინულსაც. ღებულობენ აგრეთვე 8 დიდ კამერას, თვითეულს ნახევარი ტონის ტევადობით, და 5 კომპრესორს.

მომავალ ზაფხულზე „სოიუზპროდმაგის“ ყველა მაღაზია თბილისში მომარაგებული იქნება ხელოვნური სიცივის გამომმუშავებელი დანადგარებით.

ჭადრაკი

ტურნირი თბილისის პირველობაზე

პირველი ტურის შედეგები

26 თებერვალს სპეციალურ საჭადრაკო კლუბში გათამაშდა პირველი ტური საჭადრაკო ტურნირისა თბილისის პირველობაზე. ყველაზე ადრე დასრულდა ებრალიძე—გოგლიძის პარტია. დებიუტით ებრალიძემ (თეთრები) ვერ მიიღო ვერავითარი უპირატესობა, მაგრამ ოცდამეხუთე სვლაზე გოგლიძე აკეთებს არაზუსტ სვლას და ღებულობს ოდნავ უარეს მდგომარეობას. ოცდამეათე სვლაზე მოწინააღმდეგენი სვლათა განმეორებით პარტიას ყაიმით ამთავრებენ.

ყაიმით დასრულდა აგრეთვე სერედა — მალუნცევის პარტია. მალუნცევმა შავებით აირჩია სიცილიურ პარტიაში ე. წ. „დრაკონის“ ვარიანტი. მან რამდენიმე უკეთესი მდგომარეობა მიიღო, მაგრამ სერედამ გამონახა პარტიის გადასარჩენი მოხდენილი კომბინაცია, შესწირა პაიკი და ოცდამეხუთე სვლაზე აიძულა მოწინააღმდეგე ყაიმზე დათანხმებულიყო.

კარგად ჩატარა ფირცხალავამ პარტია ფალავანდიშვილის წინააღმდეგ. დებიუტშივე ფალავანდიშვილი ღებულობს უარეს მდგომარეობას, ჰკარგავს პაიკს და მეორმოცე სვლაზე აგებს პარტიას.

კანკავამ ნირსესოვის წინააღმდეგ აირჩია „ინგლისური“ დებიუტი. მან ადვილად მიიღო უპირატესობა, მოიგო ხარისხი, მაგრამ ციტნოტში უხეში შეცდომა დაუშვა და დაჰკარგა ხარისხი. შემდგომი მისი ცდები პარტიის მოგების უნაყოფო გამოდგა და ორმოცდამეთე სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

დანარჩენი სამი პარტია გადაიდო. კასპარიან—ასოვსკის პარტიაში მოსაგები მდგომარეობა აქვს მაესტრო კასპარიანს. სოროკინ — შიშოვის პარტია გამოურკვეველ მდგომარეობაშია, ხოლო ხოტელაშვილ—ვეიზერის პარტია საყაიმოა.

დღეს, 28 თებერვალს გათამაშდება მესამე ტური. თამაშობენ: ებრალიძე—ვეიზერი, სოროკინი—ხოტელაშვილი, მაესტრო კასპარიანი — მაესტრო გოგლიძე, კანკავა — შიშოვი, ფირცხალავა — ასოვსკი, სერედა — ნირსესოვი და მალუნცევი — ფალავანდიშვილი.

◆

სპორტი

შეჯიბრება ფრანგულ ჭიდაობაში

საბჭოთა საქართველოს 16 წლისთავთან დაკავშირებით, თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა გამართა ახალგაზრდა მოჭიდავეთა თბილისის პირველობის გათამაშება. ფრანგული ჭიდაობა ჩვენში დიდი პოპულარობით სარგებლობს. შეჯიბრებაზე წარმოდგენილი იყო ამხ. ლ. ბერიას სახელობის ფიზკულტურის ტექნიკუმის, თბილისის უნივერსიტეტის, „სპარტაკის“, „მშენებლობისა“ და სხვა ორგანიზაციების გუნდები. მოჭიდავეთა საერთო შემადგენლობა 80-მდე აღწევდა.

ახალგაზრდა მოჭიდავენი კარგად დაეუფლნენ ჭიდაობის ტექნიკას. სამაგალითოდ მუშაობს ფრანგული ჭიდაობის სექცია ამხ. ლ. ბერიას სახელობის ფიზკულტურის ტექნიკუმში (ხელმძღვანელი მ. თიკანაძე). ამ ტექნიკუმის წარმომადგენლებმა ჭიდაობის დიდი ოსტატობა გამოავლინეს და ადვილად დაამარცხეს ყველა მოწინააღმდეგე. აღსანიშნავია, რომ რვა წონის კატეგორიიდან—შვიდი პირველი ადგილი ფიზკულტურის ტექნიკუმის მოჭიდავეებმა დაიკავეს, რის გამო კონკურენციის გარეშე მოიპოვეს გუნდობრივი პირველობა.

ინდივიდუალურ შეჯიბრებაში პირველი ადგილები დაიჭირეს ფიზკულტურის ტექნიკუმელებმა: ვარძელაშვილმა, ბერსენიძემ, გოგინოვმა, კ. შეყილაძემ, გ. შეყილაძემ, მაყაშვილმა, დვალმა და წითელარმიელმა კოსტენკომ.

ზ.—ძე.

◆

კრებები

— **დღეს,** საღამოს 8 საათზე სტალინის სახელობის საქართველოს სასოფ.-სამეურნეო უმაღლესი კომსკოლის კლუბში დოც. დ. კომახიძე წაიკითხავს საჯარო მოხსენებას თემაზე „ჩინეთის საბჭოთა მთავრობა და ერთიანი სახალხო ფრონტი“.

— **განათლების მუშაკთა სახლში** (ფურცელაძის ქ. 3), 1 მარტს, საღამოს 8 ს. პროფ. ს. ჯანაშია წაიკითხავს ლექციას თემაზე: „საქართველო ადრინდელ ფეოდალურ ხანაში“.

ხელოვნება

ბალეტი „ვეფხის ტყაოსანი“

შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი სდგამს ბალეტს „ვეფხის ტყაოსანს“ ნ. დ. ვოლკოვის ლიბრეტოს მიხედვით. ბალეტისათვის მუსიკის დაწერა მინდობილი აქვს კომპოზიტორ ვანო გოკიელს, მხატვრული გაფორმება—მხატ. ს. ქობულაძეს.

სპექტაკლის საერთო მეცნიერული კონსულტანტია აკადემიკოსი ი. ორბელი. ცეკვათა დამდგმელად მიწვეულია ორდენოსანი ვახტანგ ჭაბუკიანი.

○

ხელოვნების ქრონიკა

○ **მოსკოვის კამერულმა თეატრმა** დასადგმელად მიიღო გ. მდივნის პიესა „ალკაზარი“. პიესას სდგამს სახ. არტ. ა. თაიროვი.

○ **დრამატურგმა ი. ვაკელმა** დაწერა პიესა „შური“. ამ დღეებში ავტორი თავის პიესას წაუკითხავს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივს.

○ **ს. კლდიაშვილმა** დაამთავრა თავისი ახალი პიესა „კოლხიდა“. პიესა დაწერილია რუსთაველის სახელობის ორდენოსანი თეატრის შეკვეთით. პიესას სდგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ორდენოსანი კ. პატარიძე.

○ **„იცა რიჟინაშვილის“** სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრში დიდძალ ხალხს იზიდავს. დღემდე წარმოდგენა გამართა 13-ჯერ და იგი 11.000 კაცმა ნახა.

◆

საქართველოს მხატვართა ნამუშევრების შერჩევა

დიდი ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავის აღსანიშნავად მოსკოვში გაიხსნება საბჭოთა კავშირის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა — „სოციალიზმის ინდუსტრია“. აღნიშნული გამოფენისათვის ექსპონატების შესარჩევად 25 თებერვალს მოსკოვიდან ჩამოვიდა სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან ხელოვნების დამსახურებული მოღვაწენი — კაცმანი, კრივონოსი, იაკოვლევი და პავლოვი. კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებს საგამოფენო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ვოლკოვი.

25 თებერვალს კომისიის წევრებმა დაათვალიერეს საქართველოს მხატვართა ახალი ნამუშევრების გამოფენა. 26 და 27 თებერვალს კომისიის წევრები ეცნობოდნენ საქართველოს მხატვრების სხვა ახალ ნამუშევრებს.

საბავშვო ბაღების მშენებლობა

(21 თებერვლისათვის)

განსახკომის ცნობით, საქართველოს ქალაქებში ახალ საბავშვო ბაღების მშენებლობა 21 თებერვლისათვის ასეთ მდგომარეობაში იყო:

ბათომში საბავშვო ბაღის შენობა მზად იყო 77 პროც. სოხუმში—89, სტალინირში—49,5 ქუთაისში—87 პროცენტით.

თბილისში ბარიამოვის ქუჩაზე საბავშვო ბაღის შენობა მზად იყო 83,2 პროცენტით, წინანდლის ქუჩაზე—98, ძნელაძის ქუჩაზე — 82,8, მიტინვის ქუჩაზე—98,8 და ენგელსის ქუჩაზე—87,5 პროცენტით.

აღნიშნული ბაღები ყველგან გათვალისწინებულია 84-84 ბავშვისათვის.

◆

ახალი ამბები

○ **საექსკურსიო-ტურისტული სამმართველო** თბილისში, ლენინის ქუჩაზე აშენებს სასტუმროს ტურისტებისათვის. სასტუმროს მშენებლობაზე 3.000.000 მანეთი დაიხარჯება. მშენებლობა 1938 წლის ზაფხულისათვის დამთავრდება.

○ **სტალინის რაისაბჭომ** ქუჩების გამწვანებისა და კეთილმოწყობისათვის ბათომსა და აფხაზეთში შეიძინა 30.000 მანეთის მარად-მწვანე მცენარეულობის ნერგები.

○ **ბათომში** შენდება ორი ახალი სასკოლო შენობა სრული და არასრული საშუალო სკოლებისათვის. ორივე შენობა მზად იქნება მიმდინარე წლის მაისისათვის.

○ **საქ. სახელმწ. ბიბლიოთეკის** საბიბლიოგრაფიო განყოფილებამ დაამზადა გამოსაცემად ბიბლიოგრაფიული საძიებელი: „მსოფლიო კლასიკოსები ქართულ ენაზე“.

○ **თბილისის ჯანმრთელობის განყოფილება** ხუდადოვის ტყეში აშენებს ბავშვთა სანატორიუმს 150 ბავშვისათვის.

○ **თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა** გადასწყვიტა მოახდინოს საბინაო ამხანაგობათა ხელახალი რეგისტრაცია, რომელიც მარტის ბოლომდე უნდა დამთავრდეს. რეგისტრაციის ჩატარება დავალებული აქვს ქალაქის ბინათკავშირს.

○ **ზემო ღრმაღელეში** იწყება ახალი საცხოვრებელი უბნის გაშენება. წელს იქ ინდივიდუალური მშენებლობისათვის თბილისის საბჭომ მიწის ნაკვეთები გამოუყო 11 მუშას.

ბიბლიოგრაფია

„ძია შიოს“ პოეზია

ქართულ საბავშვო ლიტერატურაში მართლაც უბადლოა ბავშვებისათვის საყვარელი, ბავშვის ბუნების იშვიათი მცოდნე შიო მღვიმელის პიროვნება და გრძნობით გამთბარი მისი პოეზია. ძველი საბავშვო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი მეშჩანური და თავადაზნაურული იდეების მატარებელია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ამ ლიტერატურაში საგრძნობი იყო ობივატელური და ნაციონალისტური იდეები. ყველასათვის ცხადია, რომ ასეთი იდეების გამტარებელ ლიტერატურას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია დადებითი როლი ითამაშოს ახალი თაობის აღზრდაში.

შიო მღვიმელმა თავის ცხოვრებასა და შემოქმედებაში საგრძნობი ევოლუცია განიცადა, 1921 წლამდე მისი ლექსების თემა მეტწილად ბუნების მოვლენები იყო, რომელთაც იგი ბედისწერასა და შემთხვევითობას უკავშირებდა. პოეტის მიერ ბუნების მოვლენათა აღწერა ხშირად შიშის განწყობილებას ჰბადებდა ბავშვებში. საბჭოთა საქართველოში შექმნილი ახალი ცხოვრება, ახალი ვითარება აშკარად დაეტყო მის შემოქმედებას, ძველი თემატიური მასალა („გაზაფხული“, „პეპლები“, „ცის ანგელოზი“ და სხვ.) შეიცვალა ახალი ცხოვრების თემატიკით, ცხადია, ამ ახალშიც, ზოგჯერ თუმცა მკრთალად, მაგრამ მაინც მოსჩანს ძველი იდეური ხაზი.

ძველმა ქვეყანამ, ბნელმა და უკუღმართმა, არ იცნო ბავშვებისათვის ეგზომ საყვარელი და საჭირო მგოსანი. ქართველი ხალხის დიდმა შვილმა ვაჟა-ფშაველამ, რომელიც შეძრწუნებული იყო ასეთი მწარე სინამდვილით, საჯაროდ განაცხადა: „სირცხვილი ქართველებს, რომლებიც არ აფასებენ და არ იცნობენ თავის დიდ შვილს და პირველხარისხოვან პოეტს შიოსო“.

მხოლოდ საბჭოთა საზოგადოებამ, მხოლოდ საბჭოთა საქართველომ, სადაც იქმნება ნამდვილი ახალი საბავშვო ლიტერატურა, დააფასა შიო მღვიმელი.

შიო მღვიმელი ბავშვს ცხოვრებას აყვარებს. იგი ბავშვებს უნერგავს რწმენას, რომ ცხოვრება შრომის, ბრძოლისა და შემოქმედების ასპარეზია, მან როგორც ნიჭიერმა საბავშვო მგოსანმა, იცის შრომის სიმშვენიერე, მისი ნაყოფის სიტკბოება და დოვლათიანობა. შიო ისე სადად, მარტივად სწერდა, რომ მისი პოეზია ყველასთვის მისაწვდომია. შიო მღვიმელი გრძნობდა ძველი დროის სიცივეს და მუდამ ზამთარს, მას მტკიცედ სწამდა გაზაფხულის მოსვლა, რასაც ბავშვებსაც აგებინებდა:

მოვა, დაჰყეფს ბულბული
მრავალჰანგებიანი,
გაიხარებს სამშობლოც
ყინულ-კალთებიანი.

საბავშვო ლიტერატურაში მარქსისტული თვალსაზრისით ათვისებული შიო მღვიმელის პოეზია დიდი მემკვიდრეობაა. შიოს ლექსების, პირველი ტომის გამოსვლა მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ჩვენი აზრით, აუცილებელი იყო წიგნში დართულიყო ვრცელი კრიტიკული წერილი შიო მღვიმელის ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ.

დ. ფანჩულიძე

◆

შემთხვევები

# ავარია. შაუმიანის ქუჩაზე ავტომობილი № 26—06 (შოფერი ა. ი. დუბოვიცკი), მოძრაობის წესების უხეშად დარღვევის გამო დაეჯახა № 59—95 ავტომანქანას და საგრძნობად დააზიანა იგი. დუბოვიცკის პასუხისგებაში აძლევენ.

# გაუფრთხილებელი სვლა. ა.-კ. ფედერაციის მოედანზე საბარგო ავტომანქანა № 29—14, რომელსაც მართავდა შოფერი შ. ვ. ბოკელაშვილი, დაეჯახა მოქ. სარიბეგოვას და მძიმედ დაშავა. კალინინის ქუჩაზე 1 მარშრუტის ტრამვაი დაეჯახა მოქ. ხურცილავას (ოსიპოვის ქ. 12) და დაშავა. ვატმან გ. ა. პარკაძეს პასუხისგებაში აძლევენ.

# მოჩხუბრები. ჩხუბის ატეხისა, მოქალაქეთა შეურაცყოფისა და მილიციის მუშაკებისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო დააპატიმრეს ძმები ვახტანგ და გიორგი ხუციშვილები (რუსთაველის ქ. № 2, ლენრაიონი). დაპატიმრებულნი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

◆

პარტკალენდარი

— **პარტაქტივის საქალაქო კურსების** და პარტკომების მდივნების კურსების (კამოს ქ., 52) მეცადინეობა, რომელიც დანიშნული იყო 1 მარტისათვის, არ შესდგება, გამოსასვლელი დღის გამო. კურსების მორიგი მეცადინეობა დანიშნულია 4 მარტს.

— **საქ. კ.პ. (ბ) კასპის რაიკომი** იუწყება, რომ პარტბილეთი № 1524895, გაცემული ამხ. დიმიტრი ვიქტორის-ძე ჩირიას სახელზე, პარტბილეთი № 1525214, გაცემული ამხ. დავით ალექსანდრეს-ძე ქსოვრელის სახელზე და პარტბილეთი № 1522228, გაცემული ამხ. ვლადიმერ ალექსის-ძე დოლიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **საქ. კ.პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1521027, გაცემული სამტრედიის რაიკომის მიერ გასული წლის 22 ივნისს კალისტრატე გედას-ძე გეგენავას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ლ. მუსხელიშვილი

რუსთაველის მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

დმანისის არქეოლოგიური გათხრების წინასწარი შედეგები

1936 წ. აგვისტოს 22-დან ოქტომბრის 29-მდე დმანისში წარმოებული არქეოლოგიური მუშაობა მხოლოდ ერთი მცირე ნაწილია იმ დიდი კულტურული საქმისა, რომელიც, როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოში ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების თაოსნობითა და ხელმძღვანელობით კეთდება. საქართველოსათვის უჩვეულოა როგორც თვით ფაქტი მთელი ნაქალაქარის არქეოლოგიურად შესწავლისა, ისე მასშტაბი, რომლითაც დმანისში გათხრა სწარმოებდა. ორთვენახევრის განმავლობაში მუშაობდა ექსპედიცია 4 მეცნიერი თანამშრომლის, 2 არქიტექტორისა და 1 ფოტოგრაფის შემადგენლობით, იგი საუკეთესო პირობებში იყო ჩაყენებული და სარგებლობდა როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების მზრუნველობით. მის განკარგულებაში ყოველდღიურად საშუალოდ 60 მუშა იყო.

ჩვენი მუშაობა შეტანილი იყო საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის სამუშაოთა გეგმაში. კომიტეტმა სათანადო თანხები გაიღო გათხრების საწარმოებლად. ექსპედიციის საერთო სამეცნიერო ხელმძღვანელობა იკისრა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა. გათხრების გარდა ექსპედიციამ ძველი ქალაქის მთელი რაიონის შესწავლის მიზნით ბაშკიჩეთის რაიონის განათლების განყოფილების ინსტრუქტორის ამხ. პ. აკრიტოვის აქტიური მონაწილეობით მოაწყო აგრეთვე მთელი რიგი ექსკურსიები. წინამდებარე წერილი ეხება მხოლოდ გათხრების წინასწარ შედეგებს. თავისთავად ცხადია, რომ ამჟამად საბოლოო დასკვნების გამოტანა ნაადრევია. დმანისისთანა მსხვილი ქალაქის შესწავლა დიდ დროს მოითხოვს. ჯერჯერობით ჩვენ მუშაობის მხოლოდ დაწყებითს სტადიაში ვიმყოფებით.

დმანისის ნაქალაქარი 100 კილომეტრის მანძილზეა თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით. იგი მდებარეობს მაღალ კლდოვან კონცხზე მდ. მაშავერისა და ყარასუს (ძვ. ფინეზაურის) შესართავში. ეს ადგილი ადმინისტრაციულად ამჟამად ბაშკიჩეთის რაიონის ფარგლებში შედის, მაგრამ ეკონომიურად ძველი ქალაქი მჭიდროდ დაკავშირებული იყო არა მარტო ბაშკიჩეთისა, არამედ ლუქსემბურგის რაიონის უდიდეს ნაწილთანაც. ამიტომ „დმანის ხევი“, ე. ი. მდ. მაშავრის სისტემა, ვახუშტმა გამოჰყო დამოუკიდებელ გეოგრაფიულ ერთეულად.

სწორედ მაშავრის ქვემო წელზე გადიოდა ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზა, რომელიც საქართველოს აკავშირებდა სომხეთთან და მთელ ახლო აღმოსავლეთთან. ამ გზამ თავისი მნიშვნელობა საბოლოოდ დაჰკარგა მხოლოდ ყარსის რკინიგზის გაყვანის შემდეგ. დღეს იგი ემსახურება ავტომიმოსვლას თბილისსა და კალინოვკას (ყოფ. ვორონცოვკას) შორის. ამ ძველი შარაგზის კარგი დაცულობა, ძველი ხიდების სიმრავლე მოწმობს, რომ სავაჭრო ურთიერთობა აქ ოდესღაც ძალიან ცხოველი უნდა ყოფილიყო. დმანისიდან ეს გზა ლოქის უღელტეხილით ანისში [illegible].

დმანისის ისტორია, წერილობითი წყაროების მიხედვით, მოკლედ ასეთია. ქალაქი დაარსებულია IX საუკუნეში, მაგრამ მხოლოდ XI საუკუნეში იწყება მისი ეკონომიური ძლიერების სწრაფი ზრდა. ამ დროს იგი არაბთა ამირების ხელშია, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. დმანისი თანდათან გამოდის საქართველოს და ამიერ-კავკასიის ქალაქთა პირველ რიგში, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი. მისი მოსახლეობის შეძლებული ნაწილი უმთავრესად არაბ ვაჭრებისაგან შესდგება. ქართველი ისტორიკოსის გადმოცემით, აქაური და თბილელ-განჯელი ვაჭრების საჩივრებმა გამოიწვია თითქმის მთელი ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანობის გაერთიანება 1121 წ. დავით აღმაშენებლის ნაციონალური პოლიტიკის შესამუსრავად. ეს ცდა იმით გათავდა, რომ 1123 წ. დავითმა დმანისი დაიპყრო, რის შემდეგ ეს ქალაქი უკვე სამუდამოდ ქართველთა ხელში რჩება. მისი მნიშვნელობა განაგრძობს ზრდას XIV საუკუნემდე. შემდგომ საუკუნეებში დმანისი არაერთხელ ყოფილა დალაშქრული, სანამ, ბოლოს, XVI საუკუნეში საქალაქო ცხოვრება აქ სრულებით არ შესწყდა. პირველად დიდად დასცა ქალაქი ლანგთემურის შემოსევამ XIV საუკუნის დამლევს. მე-18 საუკუნის დამლევს ეს ადგილები სრულებით გაპარტახებული დახვედრიათ ჯავახეთიდან გადმოსულ გლეხებს, რომლებიც ნაქალაქარიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე არიან დასახლებულნი მდ. ფინეზაურის ნაპირას.

ნაქალაქარი მკაფიოდ განიყოფება ორ ნაწილად: ერთი თვით ქალაქი, სივრცით 13 კვ. ჰექტარი, მოთავსებულია კონცხზე და შემოზღუდულია კედლით. მეორე — ქალაქის კედლებს გარეთ სამხრეთისაკენ მდ. ფინეზაურის ორსავ ნაპირზე მდებარე გარეუბანი, რომლის სივრცე დაახლ. 12 კვ. ჰექტარს უდრის. თვით ქალაქში საგანგებო კედლებით გამოყოფილია შუა ციხე, რომელიც ორსავ ხეობაზე ბატონობს. ქალაქს შესავალი სამხრეთიდან აქვს, ხოლო ყველა დანარჩენი მხრიდან იგი მიუვალად უნდა ჩაითვალოს. ქალაქის მთელი არე ხშირი ნანგრევებითაა მოფენილი, რომელთაგან მხოლოდ მცირე ნაწილი — მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი სქელკედლიანი შენობები შენახულა შედარებით კარგად, ზოგი მეორე სართულებითაც კი, ხოლო დიდი უმრავლესობა მიწის ზედაპირზე ოდნავ-ღა სჩანს.

სახლებს ქვითა და ქვითკირით აშენებდნენ. წყობა, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, როდესაც კედლებს თლილი ქვის პერანგს უკეთებდნენ ხოლმე, საკმაოდ დაუდევარია. ეს იმით აიხსნება, რომ, როგორც გათხრამ გამოარკვია, კედლები ბათქაშით იყო შელესილი, ხოლო ზოგჯერ შემოსილი იყო მოჭიქული აგურებითაც. მთავარი შენობები უშუალოდ შუაციხის ძირასაა მოთავსებული. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: ქალაქის მთავარი ტაძარი, ე. წ. დმანისის სიონი, დიდი სამთავიანი ბაზილიკა, რამდენჯერმე გადაკეთებული, რომელსაც გარედან ალაგ-ალაგ შენახული აქვს თლილი ლეგა ფილაქნების პერანგი, შიგნით კი აგურის შემოსილობა და ნაშთები ფრესკული ფერწერისა კედლებზე. ამ შენობაზე დასავლეთიდან მიშენებულია ლამაზი კარიბჭე. ეს უკანასკნელი შემოსილია ბაცი მწვანე ფერის რბილი ქანის კარგად გათლილი ფილაქნებით, და გარედან, განსაკუთრებით ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრიდან, სრულებით დამოუკიდებელი, ჯვარისებრ გადახურული ეკლესიის შთაბეჭდილებას ახდენს. მისი შესავალი კი, რომელიც მას დასავლეთიდან აქვს, წარმოადგენს მაღალ ისრულს უკარო თაღს, ხოლო შიგნით ოთხ სვეტზე ამართულია ნახევარსფერული კამარა, რომელიც გუმბათის შთაბეჭდილებას სტოვებს. კარიბჭე უხვადაა შემკული ჩუქურთმითა და ბარელიეფებით.

ეს საუცხოო ნიმუში ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა მით უფრო საინტერესოა, რომ იგი კარგად თარიღდება წარწერების მიხედვით ლაშა გიორგის, თამარის ძის მეფობით (1214 — 1222 წწ.), ე. ი. უშუალოდ იმ ხანას ეკუთვნის, როდესაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა შოთა რუსთაველი.

სიონის ჩრდილო-დასავლეთით მდ. მაშავრის პირამდე ჩადის კამაროვანი საფეხურებიანი გვირაბი, რომელიც წყლით ამარაგებდა ქალაქს ალყის შემორტყმის დროს.

გარეუბანში მოთავსებულია ორი სასაფლაო (მუსლიმანური და ქრისტიანული), ქალაქის კალოები, წისქვილის ნაშთები და სამი დიდი აბანო მდ. ფინეზაურის მარჯვენა ნაპირას. მუსლიმანური სასაფლაო საინტერესოა თავისი დიდი გუმბათიან ძეგლებით და მთელი რიგი არაბული წარწერებით, რომელთა ნაწილი XIII და XIV საუკუნეებით თარიღდება. ქრისტიანულ სასაფლაოზედაც გვაქვს მთელი რიგი ქართულ და სომხურ წარწერიანი ქვები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საუცხოოდ ორნამენტებული ხაჩქარები (ქვაჯვრები), XIII საუკუნით დათარიღებულნი. დიდად საინტერესოა აბანოები. რომელთა გამოკვლევის დამთავრება ექსპედიციამ განვლილი მუშაობის განმავლობაში ვერ მოასწრო. ისინი აშენებულია არაბულ-ირანულ ყაიდაზე კამაროვანი გადახურვით ისრულ ტრომპებზე. ასეთივე, მაგრამ უფრო მცირე ზომის აბანო შუაციხეშიც არის.

გათხრა სწარმოებდა უმთავრესად ქალაქის გალავნის ფარგლებში. აქ კულტურული ფენების სისქე აღწევს 3 და ზოგჯერ 4 მეტრს. თავისი ინვენტარის შემადგენლობით კარგად განირჩევა ორი ფენა: ქვედა, რომელიც ფულის მიხედვით X—XII საუკუნეებით თარიღდება და ზედა, რომელიც XIII—XIV საუკუნეების ფულს შეიცავს.

საჭირო იყო ძველი ქალაქის გეგმის აღდგენა რაც შეიძლება უფრო მოკლე ხანში, თუნდაც ერთს მცირე ფართობზე. ამიტომ ძირითადი სამუშაოები გაიშალა ქალაქის სხვაზე უფრო კარგად შენახულ ნაწილში, სიონის გარშემო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ შენობათა კედლები 2-დან 4 მეტრამდე მიდის მიწის სიღრმეში, ვერსად ვერ მოხერხდა ძველი ქუჩის დონის დადგენა, რადგან არსად, ერთი გამონაკლისის გარდა, სახლებს არც კარი და არც სარკმელი არ აღმოაჩნდათ. მხოლოდ ერთს დიდ შენობას, რომელიც თითქმის უშუალოდ ეკვრის სიონს ჩრდილოეთიდან, ქვედა სართულში. რომელიც მთლიანად მიწის ქვეშ იმყოფებოდა, აქვს კამაროვანი, საკმაოდ დაბალი და ვიწრო შესავალი, მიქცეული სიონისაკენ. მაგრამ ეს კარი იმდენად ღრმად ზის მიწაში სიონის საძირკველთან შედარებით (დონეთა სხვაობა 2 ნახ. მეტრს აღწევს), რომ სრულებით გაუგებარი რჩება. თუ როგორ ჩადიოდნენ სიონიდან ამ შენობაში. მეორე მხრით, ისევ სავსებით მიწის ქვეშ, გაითხარა პატარა კარგად დაცული, ალბათ, მარცვლეულის შესანახი შენობა, რომელსაც კარებისა და სარკმლის ნაცვლად ორი მრგვალი ბანი აქვს კამაროვან სახურავში. ხოლო გათხრების დროს აღმოჩენილი ყველა დანარჩენი შენობა უფრო საცხოვრებელ ბინებსა ჰგავს. ისინი აშენებულია საკმაოდ უწესრიგოდ, კედლები ხშირად უსისტემოდ ჰკვეთენ ერთმანეთს, გვხვდება სამკუთხიანი და სრულებით უფორმო საკნები. ერთსა და იმავე შენობაში ოთახები სხვადასხვა დონეზეა მოთავსებული (გაშენებისას, როგორც სჩანს, მისდევდნენ ადგილის რელიეფს) და ა. შ. მაგრამ ამ ოთახებში საგანგებოდაა ამოღებული პურის ორმოები, ჩაშენებულია ხშირად თონეები, ქვევრები და კარგად გამართული მარნები. კიდევაც რომ სარდაფებთან გვქონდეს აქ საქმე, მაინც სარდაფებსაც შესასვლელ-გამოსასვლელი უნდა ჰქონოდა. ამგვარად, საინტერესო პრობლემა ბინების აგებულობისა ძველ დმანისში ჯერ კიდევ თავის ახსნას ელის.

ძველი ქუჩის დონე უდავოდ იქნა დადგენილი მხოლოდ ქალაქის კარის გათხრისას. აქ 2 ნახ. მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა დიდი მქისედ დამუშავებული ფილაქნების ქვაფენილი, რომელზედაც შენახული იყო ძველი კარის ზღურბლის ნაშთები. ამ ქვაფენილს ათარიღებს უშუალოდ მის ზემოთ კულტურულ ფენაში ნახული თამარის ფული 1200 წლისა იგი უნდა მიეკუთვნოს ხანას არა უგვიანეს XII საუკუნისა. ქვაფენილი კარიდან ქალაქისაკენ მიდის რამდენიმე მეტრის სიგრძეზე, რის შემდეგ იწყება ქვებით მოკირწყლული ქუჩა რომელიც, სამწუხაროდ უკვე 20 მეტრის მანძილზე სწყდება.

მსხვილ განათხართა შორის აღსანიშნავია კიდევ უშველებელი კარგად გათლილი ზეთსახდელი გელაზი. ასეთი ქვები დმანისში დიდი რაოდენობით მოიპოვება.

წვრილი განათხარი ძალიან ბევრია; ფული, უმთავრესად ქართული შავი, შემდეგ ბიზანტიური. არაბული და მონღოლური, არ გასცილდებიან X საუკუნეს, დიდი უმრავლესობა კი XIII საუკუნეს ეკუთვნის. ამ საუკუნის შუახანებში დმანისს. როგორც ეს გათხრამ გამოარკვია, თავისი ზარაფხანაც ჰქონია, სადაც იბეჭდებოდა ფული დავით ნარინის, რუსუდანისძის სახელით. უკვე XIV საუკუნეში ფულის რაოდენობა შესამჩნევად მცირდება.

შრომის იარაღები, საჭურველი და სამკაული, როგორიცაა რკინის ჩაქუჩები, დანები, მაკრატლები და სატევრები, რკინისა და რვალის სადგისები, რვალისა და მინის ჭურჭელი, ძვლის, ქვის, თიხის და სხვ. მძივები. მინისა და რვალის სამაჯურები, ბეჭდები, საყურეები, ქინძისთავები და სხვ. გარდა იაფფასიანი საქონლისა, რომელსაც დაზიანებისას ადვილად იმეტებდნენ გადასაგდებად, როგორც ეს მოსალოდნელიცაა ძველი ნაქალაქარის გათხრისას, ჯერ კიდევ შედარებით ცოტაა აღმოჩენილი. სამაგიეროდ, რაც აგრეთვე სავსებით ბუნებრივია, აუარებელია თიხის ნატეხები, ისე რომ ჩვენ ვღებულობთ ძველი ქართული კერამიკული წარმოებისა და იმპორტის მეტად საგულისხმო სურათს.

ეს კერამიკა კარგად განირჩევა კლასობრივი ნიშნის მიხედვით: ქალაქის მოსახლეობის ღარიბესი ფენების სადა, უპრეტენზიოდ შემკული ჭურჭლით დაწყებული, შეძლებული კლასის მდიდრულად ორნამენტებულ, მოჭიქულ და ლუსტრირებულ, ე. ი. ლითონივით მბზინავი ფერადებით დაფარულ ნაწარმოებამდე. მოჭიქულ კერამიკაში მკაფიოდ განირჩევა ორი წარმოება: ერთის მხრივ, ე. წ. სგრაფიტოს წესით შემკული ორიფერიანი მოხატული კერამიკა, XIII—XIV საუკუნეებში გავრცელებული ფართო არეზე საქართველოდან ვიდრე საბერძნეთამდე. მისი წარმოების ცენტრი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის დადგენილი, მეორე მხრივ, არის სპარსული ყაიდის ლუსტრირებული ფაიანსი, რომელიც XII—XIII საუკუნეებით თარიღდება.

ამასთან საგულისხმოა, რომ პირველი ტიპის ზოგიერთ ჭურჭელს ქართული წარწერები აქვს და პალეოგრაფიულად კარგად თარიღდება X—XIII საუკუნეებით. საერთოდ დმანისის ჭურჭლის ორნამენტი, განსაკუთრებით ფიგურული გამოსახულებანი, განსხვავდება თავისი ორიგინალობითა და თავისებურებით. სპარსული ჯურის კერამიკა კი შემკულია სპარსული წარწერებით, მაგრამ უფრო ხშირად გვხვდება მხოლოდ ასეთი წარწერების ორნამენტული მიბაძვა, რომლის ამოკითხვა შეუძლებელია. ამგვარად დიდი დამაჯერებლობით შეიძლება დავუშვათ, რომ ორივე ჯურის კერამიკა ადგილობრივი ხელოსნობის ნაწარმოებს წარმოადგენს და თუ სპარსული ფაიანსი ნაწილობრივ შემოჰქონდათ კიდეც, უფრო უბრალო მოჭიქული კერამიკა შესაძლებელია წმინდა ქართული ნახელავი იყოს. გასაკვირველია როგორც მეკეცეობის მაღალი ტექნიკა, ისე სიმდიდრე და ნაირობა ჭურჭლის ფორმებისა, დიდი გემოვნება მის შემკულობაში, თამამად და მკაფიოდ გამოყვანილი კონტურები სურათისა, ფერების სასიამოვნო შეხამება, მხატვრული მოტივების სიმრავლე და რაღაც უცნაური შეერთება რეალიზმისა მკვეთრ სტილიზაციასთან.

ამგვარად, შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ საქალაქო ცხოვრების აყვავება დმანისში იმ ხანაზე მოდის, რომელსაც ჩვენ ახლა რუსთაველის ხანას ვუწოდებთ, ე. ი. XI—XII საუკუნეებზე. გათხრებმა გაგვამდიდრეს დიდძალი მასალით, რომელიც ახასიათებს მოცემული ხანის ნივთიერ კულტურას. ამ მხრით მუშაობის განგრძობა უთუოდ ბევრს ახალს შეგვძენს.

ეს ქალაქი ტიპიურია არა მარტო საშუალო საუკუნეების საქართველოსათვის, არამედ საერთოდ ამიერ-კავკასიის მთიანი ნაწილისათვის: მისი მდებარეობა კონცხზე ორწყალ შუა, სისტემა მისი სიმაგრეებისა, წყლის მიწოდებისა და სხვ. ყველა ეს კარგადაა ცნობილი საქართველოს და სომხეთის სხვა ისტორიული ქალაქებიდან (სამშვილდე, ანისი და სხვ.) იგი ტიპიურია მრავალმხრივ მთელი ახლო აღმოსავლეთისაც. ეს ქრისტიანულ-მუსლიმანური ქალაქია შერეული მოსახლეობით, რომელიც შეჯგუფებულად ცხოვრობს შედარებით მცირე ფართობზე, ვიწრო, მრუდე ქუჩებით. მისი მეურნეობა, რომლის მთავარ დარგებად, წინასწარი მონაცემის მიხედვით, პურეულის კულტურისა და მევენახეობის გარდა, სელის ზეთის წარმოება, მეკეცეობა და (თანახმად ზეპირგადმოცემისა) ხის დამუშავება უნდა ჩაითვალოს, ალბათ, გარკვეულ როლს ითამაშებდა მის ამაღლებაში. მაგრამ უმთავრესად ეს იყო სავაჭრო ქალაქი. მისი მდებარეობა ანისში მიმავალ სავაჭრო გზაზე უთუოდ გადამწყვეტ როლს თამაშობდა მის ზრდაში, ვინაიდან სწორედ ამ ხანაში ანისი, აკად. ნ. მარის სიტყვით, შეენაცვლა უფრო ძველს და უფრო ცნობილ დვინს და „გადაიქცა ცენტრად ვაჭრობისა და აღებმიცემობისა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“.

◆

თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი ზ. პ. ფალიაშვილის სახელობისა.

28-II	ჩიო-ჩიო-სან
1-III	ტრუბადური

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

28-II	ანზორ
1-III	ანზორ

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

28-II წარ. № 114	ძალად ექიმი
1-III წარ. № 115	ცხვრის წყარო

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6-30, 8-40, 11	ხმ. ფილმი ი. ბ. სტალინის მოხსენება საბჭოების საგანგ. მე-VIII ყრილობაზე სსრ კავშ. კონსტიტუციის პროექტის შესახებ.
დამკვრელი 7, 9, 11	დადგმის მეოთხე კვირა დარიკო ავტორი-რეჟისორი სიკო დოლიძე
კომკავშირელი 6-20, 8-20, 10-2	
რ. ლუქსემბ. 6-30 8-40, 11	ხმ. ფილმი ი. ბ. სტალინის მოხსენება საბჭოების საგანგ. მე 8 ყრილობაზე სსრ კავშ. კონსტიტუციის პროექტის შესახებ.
2-რ კომ. სახ. 6, 8-10, 10-30	
ახალი ამბები დასაწ. 6-30	ხმოვ. ჟურნ. № მე-4 და მე-5. ხმოვ. ჟურ. ა. ს. პუშკინი

სახცირკი
ტელ. 3-11-44

1 მარტს დღის წარმ. დასაწყ. 2 ს.

დღეს 28 თებერვალს ახალი საატრაქციონო პროგრამა მე-4 ციკლისა. დიდი საბჭოთა ატრაქციონი 4 დონემანი. მოტოციკლი ჰაერში უცხოეთის ატრაქციონი ჯეფრისი, რადიო-ხომალდი, აგრეთვე საცირკო ხელოვნ. საუკეთესო საბჭოთა და უცხ. ოსტატები. ამ დღეებში გაიხსნება ფრანგ. ჭიდაობის მატჩები

კიროვის რაიონის გან. განყ.
გახსნა ყველა ტიპის
უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა მოსამზადებელი კურსები რუსულ-ქართული სექტორით:
1) მედინსტიტუტისათვის,
2) ინდუსტრ. ინსტიტუტისათვის,
3) უნივერსიტეტისათვის.
განცხადებები სათანადო საბუთებით წარმოდგენილ უნდა იქნას 101 სკოლაში. პრისის (ყოფ. ვანქის) ქ. № 12.
დილით 9—2 საათ., საღამოს 5—9 საათ.
16799
დირექცია.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16 გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების. 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებისა: პარტიულის—3—57—61. სასოფლო სამეურნეო—3—73—40. მშრომელთა წერილების—3—73—24, ღამის რედაქტორის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ — 8217